ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 28 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 15 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 272 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 272

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79.

გულდათუთქული და ვარა გაგლოევისა, დები: სოფიო, ელისაბედ და თამარი ლაზარაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი

ალექსანდრე დავითის ძე ლაზარაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში, მთაწმინდა, თხინვალის ქუჩა № 10 გამოსვენება კვირას 28 ნოემბერს დილის 9 ნახ. საათზე კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3795—2—2)

მამიდა მარიამ ვეფხვაძისა შვილებით; ბიძა გიორგი, ძალუა ეკატერინე ლაზარაშვილები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ

ალექსანდრე დავითის ძე ლაზარაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში მთაწმინდა თხინვალის ქ. № 10, გამოსვენება კვირას 28 ნოემბერს დილის 9 ნახ. საათზე კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3795—2—2)

ვასილი იოსებისძე არეშიძე და ნინო დავითის ასული გაბუნია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 ნოემბერს, დილის 12 საათ. გადახდილ იქნება წლის თავზე პანაშვიდი

ოლღა დავითის ასული გაბუნია-არეშიძის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი გადახდილ იქნება კუკიის სასაფლაოზე მიცვალებულის საფლავზე. (3799—2—2)

ღრმად დამწუხარებული მეუღლე ანნა ვასილის ასული და შვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე მესხიშვილები უგულითადეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარ

ლ ა დ ო ს

მიცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. (ნ. 2—2)

საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს კავშირის წევრებს და საზოგადოებას, რომ 22 ნოემბერს გარდაიცვალა ქართული სცენის სიამაყე დიდი არტისტი

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი

გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან 28 ს, წირვის შემდეგ. დაკრძალვა ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. (დიდუბე). (3810—1—1)

ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებულ ქართულ დრამატიულ წრის სცენის მოყვარენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ, რომ 24 ნოემბერს შუაღამისას გარდაიცვალა ქართულ სცენის ქურუმი

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი

(3808—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ნინო დიმიტრის ასული, ეკატერინე ალექსანდრეს ასული, შალვა და ვლადიმერ ვლადიმერის ძენი ალექსი-მესხიშვილნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დაუვიწყარ და საყვარელ

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილის

დაკრძალვა მოხდება კვირას 28 ნოემბერს დიდუბის ეკლესიის გალავანში წირვა ქაშვეთის ეკლესიაში. (3809—1—1)

სახელმწიფო თეატრის დირექცია აუწყებს მოქალაქეთ, რომ დამსახურებულის მსახიობის და რეჟისორის

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის

ცხედრის დაკრძალვა მოხდება დღეს, ნოემბრის 28-ს. ქაშვეთის ეკლესიიდან. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (ნ. 1—1)

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო აუწყებს თავის წევრებს, რომ ჩვენი სცენის დიდი მსახიობის

ლადო მესხიშვილის

გვამის დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 ნოემბერს, პანთეონში, დიდუბეს. ცხედრის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ. (3816 1—1)

---

28 ნოემბერს, კვირას

სახალხო გვარდიის სახლში კარლ კაუცკის სახელობაზე

გამართული იქნება

გრანდიოზული საღამო

ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან 100 წლის ხსოვნის აღსანიშნავად

შემდეგი შინაარსით:

I

მოხსენება: **ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრება და მისი დრო.** სევერიანე ედიბერიძე.

II

ერთ მოქმედებიანი პიესა

„თავისუფლების ბარიკადზე"

გერგელისა.

III

დივერტისმენტი

პოეტები: 1) ვ. რუხაძე, 2) გ. ქუჩიშვილი, 3) ობოლი მუშა, 4) ვარდოშვილი. თაგუნა.

იმღერებს გვარდიელების

მომღერალთა გუნდი

გვარდიელების მიერვე წაკითხული იქნება ლექსები.

საგანგებო ბატალიონის და საინჟინერო კულტ-განმანათლებელი **სექცია.**

(3788 2—2)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში.

ი ყ ი დ ე ბ ა

მანდარინები ხელმისაწვდომ ფასებში ყუთებით

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მაღაზიაში

რუსთაველის პროსპექტი № 24.

(ნ. 4—2)

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ხუთ დეკემბერს

საერობო ყრილობას

განსახილველია გამგეობის მოხსენება სარევიზიო კომისიის მოხსენება საერობო არჩევნები სასურსათო ბლოკის დაარსება უძრავ ქონებათა ჩამორთმევა, სავალდებულო დადგენილებები და სხვა. ერობის გამგეობა.

(ნ. 2—1)

სახელმწ. თეატრი

28 ნოემბერს

აბესალომ და ეთერი

ორშაბათს 29 ნოემბერს ქართულ ენაზე ოპერა **დალატი.** სამშაბათს 30 ნოემბერს **მარგალიტის მაძიებელნი.** ოთხშაბათს 1 დეკემბერს **სიმფონიური კონცერტი.** ბორისკი და ბელოუსოვის მონაწილეობით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღევანდელი წარმოდგენა (დღისით)

უგვირგვინო მეფენი

ვლ. ალექსი მესხიშვილის დაკრძალვის გამო გადაიდება სამშაბათს, 30 ნოემბრისთვის. კვირის ბილეთები გამოდგება სამშაბათს.

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაგედია

ბ ე რ დ ო - ზ მ ა ნ ი ა

ალ. შანშიაშვილისა.

მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი. **ბილეთები კასაში.**

(ნ. 1—1)

ქართული კლუბი

1920 წ. 28 ნოემბერს

დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება

სადილი--კაბარე

(სად. 4 საათ. ღამის 10 საათ.)

„ჯიმის" მსახიობები, თამარა წერეთელი გიტარის დამკვრელი ს. ნ. ნარიმანოვი, ნ. შაროვი, ბ. ირუნოვი. სიმებიანი ორკესტრი. არაჩვეულებრივი სიურპრიზები. კონფერანსიე ნ. კურიხინი. პაოლო იაშვილი. ცეკვა და სხვ.

როიალთან ბ. პროზოროვსკი.

დიასახლისი ი. ი. ჟორდანია.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კაფე ინტერნაციონალში.

1920 წ. 28 ნოემბერს

დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოება ი. ი. ჟორდანიას თავმჯდომარეობით

გაზ. „საქართველოს" შენობაში (ყოფილი „ფრასკატი" მართავს გრანდიოზულ

ლატარეა-ალეგრს

მრავალი ფასიანი და საინტერესო მოგება: ერთი საჟენი შეშა, ნახევარი დიუჟინი სკამი, ფქვილი, მანუფაქტურა, ფეხსაცმელი, შაქარი, ბრინჯი, ქათმები და სხვ

დასაწყ.-სი დილის 10 საათზე.

შესვლა უფასოა.

(3796—2—2)

საქართველოს სავაჭრო-სამრეწ. ბანკის

(ცენტრობანკის) კონსტანტინოპოლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მას აქვს ქ. კონსტანტინოპოლში საკუთარი საწყობი, აგრეთვე მის განკარგულებაშია იქვე სატრანზიტო საწყობი, სადაც მიიღება შესანახად ყოველ გვარი საქონელი როგორც ბანკის კლიენტების, ისე გარეშე პირებისა.

ამასთანავე ბანკის განყოფილება ფართოდ აწარმოებს კლიენტების დავალებათა შესრულებას შესახებ საქართველოდან სხვადასხვა საქონლის გატანისა საზღვარ გარეთ გასასაღებლად და საჭირო საქონლის იქ შესყიდვისა საქართველოში შემოსატანათ.

განყოფილების მისამართი: Constantinople, galata, rue Voivoda 51, Agopian-Han 11—12.

საქართველოში მოლაპარაკება შეიძლება: **ქ. ტფილისში** ცენტრობანკის მთავარ გამგეობასთან, თავისუფლების მოედანი, № 3 და ქ. ბათომში ცენტრობანკის განყოფილებაში მმართველთან. (სვიატოპოლკმირსკის ქუჩა). (ნ. 1—1)

დღეს, 28 ნოემბერს სახელმწიფო დრამის თეატრში ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის დასაფლავების დღის გამო წარმოდგენა

გადადებულია

მხოლოდ საოპერო თეატრში წარმოდგენა უსათუოდ შესდგება

სახელმწიფო თეატრების დირექცია.

(ნ. 1—1)

სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს რომ

ა. წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში სოხუმის ახლოს (12 ვერსი) გაიხსნება

სახელმწიფო სანატორიუმი

„გულრიფში"

სადაც მიიღებიან ფილტვებით ავადმყოფნი. სანატორიუმში 50 საწოლი განკუთვნილია სახელმწიფო მუშა მოსამსახურეთათვის, ხოლო მეორე 50 საწოლი დაეთმობათ კერძო პირთ. პირველნი იხდიან თვეში 12 ათას მანეთს, კერძონი კი 40 ათას მანეთს. ფასი ორი თვისა წინდაწინვე ერთად უნდა იქმნას შეტანილი. ცნობებისათვის და თხოვნებით სანატორიუმში მოთავსების მსურველთ უნდა მიმართონ განათლების სამინისტროს. (ნ. 3—1)

ამიერ კავკასიაში ტყავისა და ნაბადის წარმოების აქციონერულ საზოგადოების გამგეობა

გ. გ. ადელხანოვისა

ფინანსთა მინისტრის წინადადებით, იწვევს კვირას ა. წ. 28 ნოემბერს დღის 11 საათ. ტფილისის სავაჭრო ბანკის შენობაში

აქციონერების საჩქარო

საერთო კრებას

გასარჩევია კითხვა წარმოების მთავრობისაგან ნებაყოფლობით შეძენის შესახებ. (3818—1—1)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლეში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე სერ. ჟურულიანი იძლევა ყოველგვარ ცნობებს კომიტეტის მუშაობის შესახებ; იგი ღებულობს ფრონტის საჭიროებისათვის შეწირულობის მსურველ პირთაგან განცხადებებს. იქვე მორიგეობს კ მიტეტის წევრი, სასახლეშივე, კომიტეტის მოლარე დიმ. კალანდარაშვილი და საქმის მწარმოებელი გერ. ქიქოძე ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებათა. ტელ. 3—87, 6—02, 8—34.

(3801—2—2)

საქართველო და სომხეთი

სომხურმა ნაციონალისტურმა პრესამ კორიანტელი ატეხა იმის გამო, რომ სომხეთის ჯარის მიერ ალექსანდროპოლის დატოვების შემდეგ საქართველოს ჯარები შევიდნენ ნეიტრალურ ზონაში და დაიკავეს ბორჩალოს მაზრის ის ადგილები, რომლების შესახებაც სომხეთსა და საქართველოს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკება სწარმოებდა იმ დრომდის, სანამ ქემალ-ფაშას ჯარები სომხეთის საზღვრებს გადმოლახავდნენ. საქართველოს ჯარის გადასვლაში სომხურმა ნაციონალისტურმა პრესამ დაინახა „დანის ჩაცემა ზურგში" და სხვა ამგვარი საშინელება. უკანასკნელ ხანებში სომხურმა პრესამ თითქოს უფრო წყნარი კილო მიიღო, და ჩვენც შეგვიძლიან უფრო გულდამშვიდებით განვიხილოთ ის საკითხები, რომლებიც საქართველო-სომხეთის ურთიერთობას შეეხება.

საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის ხელშეკრულების ძალით საქართველოს საზღვრებში შედის მთელი წინანდელი ტფილისის გუბერნია. მიუხედავათ ამ ხელშეკრულების დადებისა, საქართველომ არ მოინდომა დაკავება ბორჩალოს მაზრის იმ ნაწილებისა, რომლებსაც სომხეთი სადაოთ სთვლიდა, სანამ ამაზე თვით სომხეთს არ შეუთანხმდებოდა. ამის გამო ხანგრძლივი მოლაპარაკება სწარმოებდა ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის; ეს მოლაპარაკება მხოლოდ სომხეთის ქემალ-ფაშასთან ომმა შესწყვიტა.

ოსმალეთთან ომში სომხეთი სუსტი გამოდგა. მან თანდათანობით დაკარგა სარიყამიში, ყარსი და ბოლოს ალექსანდროპოლიც. დაიწყო სომხეთის მთავრობის მოლაპარაკება ანგორის მთავრობასთან შერიგების შესახებ. რა პირობებში სწარმოებდა ეს მოლაპარაკება? იყო, თუ არა, ამ მოლაპარაკებაში ისეთი მომენტები, რომლებსაც საქართველო გულცივათ და განურჩევლად ვერ შეხედავდა? საკმარისია ამ საკითხს მიუდგომლად შეხედოთ და მიხვდებით, რომ ამ მოლაპარაკებაში საქართველო ძლიერ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, რადგან ზავი სომხეთსა და ანგორას შორის პირდაპირ ეხება საქართველოს.

ჯერ კიდევ პირველ დროებითი ზავის დროს სომხეთის მიერ მიღებული იყო ოსმალთა სარდლობის ულტიმატუმის ისეთი პირობები, რომლებიც საქართველოს უფლებების შებღალვას წარმოადგენდა. ამ აშკარა შებღალვათ მიიჩნია საქართველომ და არც შეიძლება არ მიეჩნია მას. ის მუხლი, რომლის ძალითაც სანაინში არსებობდა ოსმალთა საკონტროლო კომისია, რომლის მოქმედებაც მთელს რკინის გზაზე უნდა გავრცელებულიყო ალექსანდროპოლიდან სანაინამდე. სომხეთის მთავრობამ სულ დაივიწყა, რომ სანაინი არ ეკუთვნოდა სომხეთს, რადგან ის ნეიტრალ ზონაში შედიოდა. მან დაივიწყა უფრო მეტიც:—ის, რომ სადგურ სანაინის რკინის გზის ნაწილი საქართველოს კუთვნილებაა და არავითარ საკონტროლო კომისიას იქ ადგილი ვერ ექნება. თქმა აღარ უნდა იმას, რომ სომხეთის მთავრობამ უყურადღებოთ დასტოვა ის გარემოება, რომ ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი სადავო ტერიტორია იყო, რომ მის გამო საქართველოს განუწყვეტლივ მოლაპარაკება ჰქონდა სომხეთთან. ამგვარათ სომხეთის მთავრობამ შესაძლებლათ სცნო შეთანხმებულიყო ოსმალეთის სარდლობასთან იმ ადგილების შესახებ, რომელთაგან ზოგი მას სრულებით არ ეკუთვნოდა, ზოგი მას საზიაროთ ჰქონდა საქართველოსთან, ზოგის გამო კი ამ უკანასკნელთან დავა ჰქონდა. და ეს შეთანხმება მან მოახდინა საქართველოს სრულიად დაუკითხავად.

ჩვენ არ მივბაძავთ „აშხატავორებს", არ ავტეხთ ამის გამო ალიაქოთს, სომხეთის მთავრობის „ვერაგობის" შესახებ, არ დავიწყებთ ყვირილს „ზურგში დანის დაკვრაზე" და „მოღალატეობაზე". ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდნილი იყო სომხეთი იმ დროს, როდესაც მისმა მთავრობამ მიიღო ოსმალთა სარდლობის ულტიმატუმი. ჩვენ ვიცით, რომ ამისთანა საშინელების დროს, შეიძლება უნებურათ ჩაიდინო ისეთი რამ, რაც ყოვლად დაუშვებელია ჩვეულებრივ პირობებში. ვიღებთ იმას, რომ სომხეთის მთავრობა იძულებული გახდა სომეხ ხალხის სიცოცხლის გადასარჩენად დათანხმებულიყო ისეთ პირობებზე, რომლებიც საქართველოს უფლებების ფეხქვეშ გათელვას წარმოადგენდა, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ საქართველოც მოვალე იყო გაჩუმებულიყო და თანახმა გამხდარიყო ამ პირობებზე? რა ლოღიკით, რა უფლებების ძალით შეიძლება ამის მოთხოვნა? ან რა დააკლდა სომხეთს იმით, რომ საქართველომ დაიჭირა ის ადგილები, რომლების გამოც სომხეთთან ჰქონდა დავა და არ დაანება ოსმალთა ჯარებს?

ჩვენ დიდის თანაგრძნობით და მწუხარებით ვიზიარებთ იმ უბედურებას, რომელიც სომხეთს დაატყდა თავს. ამ უბედურების დროს ჩვენ არ გვითქვამს არც ერთი ისეთი სიტყვა და მით უმეტეს არ გადაგვიდგამს არც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომ სომეხ ხალხის ტკივილები გაძლიერებულიყო. მიუხედავათ საქართველოს უფლებების აშკარა შებღალვისა, ჩვენ ამის გამო არ გვინდა ჩხუბი ავტეხოთ. მაგრამ სომხეთის პრესაც მოვალეა ერთი წვეთი სამართლიანობა გამოიჩინოს საქართველოს მიმართ და აღიაროს, რომ ის, რაც გააკეთა საქართველომ, წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მისი შებღალული უფლებების აღდგენას და იოტის ოდენა ვნებასაც არ აყენებს სომხეთს.

კოოპერატივთა რწმუნებულების ყრილობა

მეტად მძიმე პირობებში უხდება შეკრება რესპუბლიკის კოოპერატივთა რწმუნებულების პირველ ყრილობას. პოლიტიკური გართულება და ეკონომიური კრიზისის სიმწვავე, რომელსაც დღეს რესპუბლიკა განიცდის, მძიმე ლოდათ აწევს კოოპერატიულ მოღვაწეობას და მისი მუშაობას.

ამ უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილება მოხდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ამან რასაკვირველია უდიდესი გავლენა იქონია კოოპერატიულ საქმიანობაზედაც.

თუ რევოლიუციამდე მას აბრკოლებდა პოლიტიკური პირობები, ახლა ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ბოლშევიკების ცნობით სტამბოლში შემდგარ შავრაზმელთა თათბირს დაუდგენია, რომ ვრანგელის მთავრობამ უნდა იარსებოს საბჭოთა რუსეთთან ომის გასაგრძელებლად.

საბჭოთა რუსეთი რუმინეთისადმი მიმართულ ნოტაში იმედს გამოსთქვამს, რომ რუმინეთის მთავრობა ხელს არ შეუწყობს ვრანგელის საბჭოთა რუსეთის მტრულ მოქმედებაში.

საბერძნეთის მთავრობამ ხალხს მოწოდებით მიმართა, რათა პლებისციტის დროს მხარი დაუჭირონ ყოფილ მეფე კონსტანტინეს.

დასავლეთის ფრონტზე ბალახოვიჩის და საბჭოთა ჯარებს შორის ბრძოლა გრძელდება.

უშლის და ბორკავს ეკონომიური პირობები. რამდენათ ის განთავისუფლდა პოლიტიკურათ, იმდენათ გაუარესდა მისი ეკონომიური სარბიელი. ამის მიზეზია ერთის მხრით საგარეო მდგომარეობა, მეორეს მხრივ შინაური. პირველი უფრო რთული და ძნელი დასაძლევია, მეორე კი უფრო მარტივი და შედარებით, ადვილათ დასაძლევი. საქონლის ნაკლებობა მსოფლიო ბაზარზე, სახელმწიფოებრივი ურთიერთობა სხვა და სხვა ქვეყნებთან, ვალიუტის უქონლობა და გადასაცვლელი ნედლი მასალის სიმცირე შიგნით—აი ის უმთავრესი მიზეზები, რომლებმაც გზა შეუკრა კოოპერატივს უცხოეთის ბაზარზე, რომლის დაძლევა აღემატება მის ძალას, და მისი გავლენისაგან განთავისუფლება დიდ დროსა და ხანგრძლივ მუშაობას ითხოვს. მეორეა, როგორც ვთქვით, შინაური მიზეზები, რომლის სათანადო მოგვარებით შესაძლებელი იყო კოოპერატიული საქმიანობის უფრო რაციონალურათ გამოყენება და ასე თვით კოოპერატივების გაძლიერება - გამტკიცებაც. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დღემდის არაფერი გაკეთებულა. კოოპერატივები დარჩენ თავის ანაბარათ მიტოვებული, ზოგი მისი ფუნქციები ხელში აიღო სხვადასხვა ორგანოებმა, ბაზარს და მის უმთავრეს საქონელს სახელმწიფო დაეპატრონა და, რაღა გასაკვირია, თუ კოოპერატივები დაღრა, დაჭკნა და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლებელია მისი კარები სრულიად გამოიკეტოს.

ჩვენი კოოპერატივები არ ეკუთვნიან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უპირდაპირდებიან სახელმწიფოს. მართალია, ის უპირდაპირდება კაპიტალისტურ მეურნეობას და ცდილობს მისი ფესვების ამოთხრას, მარა ამავე ნიადაგზე დგას ჩვენი რესპუბლიკაც. მაშასადამე, ადვილი იყო საერთო ეკონომიური პოლიტიკური ხაზის გამომუშავებაც. სამწუხაროთ ეს არ მოხდა და ეს უნდა ჩაითვალოს ერთ უდიდეს ნაკლათ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა.

დღეს, როცა მთელი ჩვენი ყურადღება ერთავად ეკონომიური ფრონტისაკენ არის მიქცეული, აუცილებლობა მოითხოვს, რომ გარკვეულ იქნას კოოპერატივის მდგომარეობა და მისი ურთიერთობა სახელმწიფოს თუ მუნიციპალურ სამეურნეო ორგანოებთან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყრილობა უდიდეს ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და თავის წვლილს შეიტანს ამ რთული საკითხის გადაწყვეტაში. თუ ეს არ მოხდა, და არ მოხდა რაც შეიძლება დაჩქარებით, კოოპერატიული მოძრაობა ჩვენში, უეჭველია, მალე ჩაქრება და მის ნაცარცხლარზე კოოპერატიული ცეცხლის კვლავ დანთება არც ისე ადვილი იქნება.

აღსანიშნავია, რომ თვით კოოპერატივის იდეიურ ხელმძღვანელებს ამ მხრივ დღემდე ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. შეცვლილი პირობები ითხოვდა და ითხოვს ზოგიერთ სერიოზული ცვლილების შეტანას კოოპერატიული მუშაობის მეთოდში და რომ ამას დროზე მიქცეოდა სათანადო ყურადღება, უეჭველია, კოოპერატივების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იქნებოდა. მარა რაც იყო—იყო.

„კოოპერაციის საკითხი" - იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მისი მოწესრიგება გადადებას არ ითმენს.

ჩვენის აზრით, ყრილობას არ აქვს სხვა ამაზე უდიდესი საკითხი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის ამას სათანადო ყურადღებით და სერიოზულობით მოეპყრობა.

განი.

დამფუძნებელი კრება

26 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

პირველ რიგში მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამმზადებელი სადგურის დამთავრებისათვის 3,719,000 მან. გადადების შესახებ.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა კანონ-პროექტი რადიო-ტელეგრაფის გუნდის შტატის ცვლილებისა და დამტკიცების შესახებ.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 27.

ლიონის ცნობები

სომხეთის საკითხი.

პრესაში გამოქვეყნდა ერთა ლიგის საბჭოს მიერ გაგზავნილი დეპეშების ტექსტი. ეს დეპეშები, რომლებიც სომხეთსა და მუსტაფა ქემალის შორის შუამდგომლობას ეხება, გაეგზავნა ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს და შეერთებულ შტატებს.

იტალია და ლონდონის თათბირი.

ინგლისის მთავრობამ ლონდონის თათბირზე მიიწვია ჯიოლიტი თუ ჯიოლიტი ვერ შესძლებს ლონდონს გამგზავრებას, იმ შემთხვევაში გრაფ სფორცას გაგზავნას ითხოვენ. სფორცა ინგლისში ჩავა შაბათს, ან კვირას. მის ჩასვლამდის მის მაგიერობას გასწევს მარკიზ იმპერიალი.

საბერძნეთი და იტალია.

გუნარისმა გაზ. „ტეიმპოს" ათინელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ საბერძნეთს სურს იტალიასთან შეთანხმება. გუნარისის აზრით უთანხმოება ამ ორ სახელმწიფოს შორის ადვილათ მოისპობა თუ დაივიწყებენ წარსულს, იფიქრებენ ორივე ქვეყნის მომავალ კეთილდღეობაზე. იტალია და საბერძნეთი დარწმუნებული უნდა იყონ, რომ ამგვარი დამოკიდებულების დამყარებით ისინი ევროპის ხალხთა სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებენ.

ერთა ლიგაში

ჟენევა. წარსულ კვირაში სამხრეთ ამერიკის დელეგატებმა მოითხოვეს, რომ ერთა ლიგაში ფრანგულ და ინგლისურ ენებთან ოფიციალურ ენათ ეცნოთ ესპანურიც. ამგვარივე მოთხოვნილება წამოაყენეს იტალიის დელეგატებმა. ერთა ლიგამ გადასწყვიტა ნება დართოს დელეგატებს თავის ენაზე ლაპარაკისა იმ პირობით, რომ მათი სიტყვების გადათარგმნის ხარჯი თვითონ მათ იკისრონ.

საბერძნეთში

საბერძნეთის მთავრობამ მიმართა ხალხს მოწოდებით, რომ მხარი დაუჭირონ პლებისციტის დროს ყოფილ მეფეს კონსტანტინეს.

„ტანი" აღნიშნავს საბერძნეთის ახალი მთავრობა უარყოფს ყველაფერს რაც მის წინად ვენიზელოსის კაბინეტმა გააკეთა.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ჰოტენტოტები და ბოლშევიკები.

მოსკოვი. 26 ნოემბერი „პრავდა"-ს მოწინავე სწერს: ესერთა მეთაურებმა „ნაროდნოე დელო"-ს ფურცლებზე სისწორით აღიარეს: სამოქალაქო ომში იმარჯვებს ის, ვისაც მასსა მიემხრობა და ის მხარე, რომელსაც არ შეუძლია მომხრეები გაიყოლიოს მხოლოდ დროებით იმარჯვებს. 3 წლის განმავლობაში მტკიცეთ იმარჯვებს საბჭოთა მთავრობა. ნათელია, რომ ჩვენს მხარეზეა ხალხის უმეტესობა. ესერები ამას ვერ ურიგდებიან, მათ იმედი აქვთ, რომ სიმშილი ჩაახრჩობს მუშათა და გლეხთა მონაპოვარს. იმავე დროს ისინი აქებ ადიდებენ დემოკრატიულ განათლებულ სახელმწიფოების მშვენიერებას. შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ ამ ქვეყანაში, სადაც დამარცხდა მუშათა კლასი, იზრდება მონარქიული რეაქცია. ევროპის ბურჟუაზიული დემოკრატია დამარცხდა. ამ ჟამად სწარმოებს კლასიური ბრძოლა, ერთის მხრით ჩვენ ვხედავთ დამჩაგრულ მუშებს და გლეხებს, მეორეს მხრით კი ექსპლოატორ ფაბრიკანტებს და მემამულეებს. დანარჩენი გარიყულნი არიან ცხოვრებიდან. ჩვენი ძალა იზრდება. გოტენტოტებიც კი ბოლშევიკურ ლოზუნგებით გამოდიან. კუნძ. კაპრზე დაარსდა კომუნისტური პარტია. მთელი ქვეყნიერობაზე გამეფებულია კლასთა ბრძოლა. მსოფლიო ბურჟუაზიის დასასრული არის—დასასრული რუსეთის ბურჟუაზიისა. ამის შერიგება არა სურთ მხოლოდ ესერებს.—და ისინი პრინციპებზე ლაპარაკობენ. მაგრამ მათ ძველი ბედი მოელით, საშუალო ადგილი არ არსებობს.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. 26 ნოემ. მოზირის რაიონში ჩვენი ცხენოსნები ბალახოვიჩის დარჩენილ ჯარის ნაწილებს სდევნიან. პრიპიატის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ბალახოვიჩის ერთ-ერთი რაზმი დაამარცხა. ტუროვის სამხრეთ-აღმოსავლეთით და პრიპიატზე შეტევას განაგრძობს. წამოიყვანეთ ტყვეები. დამატებითი ცნობებით ელსკის დასავლეთით ჩვენებს წამოუყვანიათ 73 ტყვე, ხელთ უგდიათ 1 ზარბაზანი და სხვა ქონება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

27 ნოემბერი.

რუსი ლტოლვილები ლონდონში.

ლონდონი. ლონდონში დაბინავებულმა რუსმა ლტოლვილებმა გახსნეს რუსული პაპიროსების დიდი ქარხანა. ამასთანავე გახსნეს სხვადასხვა მცირე სახელოსნოები. ინგლისელი მეწარმეები სიამოვნებით აძლევენ ფინანსიურ დახმარებას ამ მცირე საწარმოო დაწესებულებათ.

მასარიკი და კერენსკი.

ჩეხო-სლოვაკიის პრემიერს მასარიკს საუბარი ჰქონდა კერენსკისთან რუსეთის საქმეების შესახებ. ამ ხანგრძლივი თათბირის შედეგებს საიდუმლოთ ინახავენ

მიწის ძვრა.

მადრიდი. გრენადაში ძლიერი მიწის ძვრა მოხდა.

ცხოვრების გაძვირების გამო.

სალამანკაში სერიოზული არეულობა მოხდა. დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ქალი. არეულობა ცხოვრების გაძვირებამ გამოიწვია.

შვეციის კაბინეტი.

სტოკჰოლმი. მეფემ ხრისტიანშტადტის გუბერნატორ ბარონ დე გირს მიანდო საქმიანი, უპარტიო კაბინეტის შედგენა.

ამნისტია.

პარიზი. მილერანმა პრეზიდენტათ არჩევის გამო დაპატიმრებულთა ამნისტია გამოაცხადა. გაანთავისუფლეს სამოქალაქო დანაშაულისა და სამხედრო დანაშაულისათვის დაპატიმრებული 305 კაცი.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესს ბიუროს ბიულეტენიდან

27 ნოემბერი.

უჯარო სარდალი.

მოსკოვი. 27 ნოემბერი (რადიო). სტამბოლში კადეტთა ხელმძღვანელობით შესდგა რუს შავრაზმელ ორგანიზატორთა თათბირი, სადაც დადგენილ იქნა, რომ ვრანგელის სამხრეთ რუსეთის მთავრობამ უნდა იარსებოს საბჭოთა რუსეთთან ომის გასაგრძელებლათ.

შავრაზმელები აუცილებლათ სთვლიან, რომ ვრანგელი დარჩეს სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალის მთავარ სარდლის პოსტზე.

რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება.

მოსკოვი. 26 ნოემბერი. (რადიო). ამხ. კრასინმა ერთ-ერთი ნოტით ლოიდ ჯორჯს განუცხადა, რომ რუსეთთან ხელშეკრულობის დაუდებლობა სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ლოიდ ჯორჯის და მისი კოლეგების ბრალია.

ინგლისის მინისტრებს შორის რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების საკითხში უთანხმოება გამოწვეულია სესხის საკითხით. გავლენიან წრეებს ემჩნევათ წყურვილი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლებისა. ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში ის აზრია გამეფებული, რომ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას ლოღიკურად უნდა მოყვეს საბჭოთა მთავრობის აღიარება.

კრასინის ნოტა ავერესკოს.

მოსკოვი. 26 ნოემბერი. (რადიო). ამხ. კრასინმა რადიო-დეპეშა გაუგზავნა რუმინიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს—ავერესკოს. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ გენერალ ვრანგელს, რომელიც საბჭოთა ჯარებმა დაამარცხა, განზრახული აქვს თავისი ჯარების დარჩენილი ნაწილები გადაიყვანოს რუმინიის ტერიტორიაზე, რომ იქიდან მოამზადოს ახალი თავდასხმა რუსეთზე.

საბჭოთა მთავრობა, ელის რა მხედველობაში რუმინიის მთავრობის არა ერთ და ორ განცხადებას საბჭოთა რუსეთთან კეთილ განწყობილების შესახებ, იმედოვნებს, რომ რუმინიის მთავრობა ვრანგელს გაუწევს წინააღმდეგობას.

ლადო მესხიშვილი

ერთი მწუხარე არის არია,
რომელმაც სულში, როგორც ჰიანურს
საწამლავები გადაარია
წვალებას არა-ადამიანურს.

ოცნება დროის უსაზუროსი
მოგონებისთვის მაინც ურგია.
მაგრამ უეცრად მიდის ბურუსი:
და შორს... ძლიერ შორს... პეტერბურგია!

ოჰ, გვეპატიოს გული ყინული
რისთვის სპეტაკი—მარად შავია—
წმინდა ქართული და რუტინული
განაჩენისთვის: დამნაშავეა!

ოჰ, მარად უნდა წამიღოს ჟინმა
და გულმოკლული ვიგრძნობ ციერებს
ოდეს შემთხვევით ახსენებს ვინმე
ჩემთან შენს სახელს უმშვენიერესს.

მახსოვს პატარა დაბა ნეჟინი
იქ მარტოობა და სინანული.
დაგვესხენ ღამით მოთარეშენი
და ომი ატყდა პარტიზანული.

შემდეგ უდაბნოს ყვავილთა მზოკარ
თვალით მძებნელი და მარებელი
ვუდარაჯებდით თუ ქარში როგორ
მიჰქრის რელსებს მატარებელი.

სასტიკი იყო შენი დემონი
არ ითვისებდა ჩვეულ გალობას
ანგელოზები უედემნი
ტიროდენ გზათა მიუვალობას:

მოხუცო დენდი! რად აირჩიე,
რად აირჩიე ტყე და გრიგალი,
ეკლიანი გზა რად აირჩიე,
გატაცებები რად მოიკალი?

წინ მკვლელობები გეშალა ზოლად
ამბობდი: წყევლა ეხლა იწყება—
თავდავიწყება გწყუროდა მხოლოდ
და არად იყო თავდავიწყება.

და მიგაფრენდა ლოცვეთ მაგიერ
ფრთიანი ქიმერათ გვიანი ჯარი—
და ვერასოდეს გვერდს ვერ აგიარ
მე, უდროობის იანიჩარი.

არ გასვენებდა ახალი დარდი
და თრთოლვარებდენ შენი ბაგენი
რომ დაგიფარა ლურჯი შტანდარტი
რომ აგემართა სხვა კარფაგენი.

კვლავ მოგონება... წამზე უმალი
გაფითრებული ჰანგით მღერები
გასაოცარი და იდუმალი
ვიდოდენ მძიმე კრეისერები.

გრძნებით რეკავდა ყოველი წუთი
გემზე ისმოდა შენი ბრძანება
ედგენებოდა სალუტს სალიუტი—
და ესკადრები მიეჭ ნება.

შენ მრავალ ახალ გზებს მიაგენი
სად წინად ლიპი იყო დაღმართი
გობელენებით მოფარაგინი
შენ ციხეები ზღვაზე აღმართე.

აჰა, ნაპირიც! ჩვენი ნაპირი!
იგი მშობლიურ თიბათვეს გავდა.
სილაზე იყო გზა პირდაპირი
სილაში უხმოდ ჩაწოლილ ნავთან.

აღმოსავლეთის ქარი [illegible]
შენი ხმა იყო ზარი, თითფერი.
სახეს სითეთრე თოვლის დაკროდა
სულს ბურუსში ირისიფერი

და იალქნების გროვა მავალი
ეშურებოდა ქვეყანას—ზმანეთს.
იქ სადაც ზღვა და ცის დასავალი
სიტყვის უთქმელად გრძნობდენ
ერთმანეთს.

მივდიოდით ისევ... შემოგვხვდა ზიმლა.
ვიგრძნობით სული აღსავსე სუსხით.
მან მწუხარებით გვითხრა: დამისხი!
ჩვენ უძველესი ღვინო დავუსხით.

მან მწუხარებით წარმოთქვა: მცივა!
შენ მოიხადე შენი ნაბადი
და ნაბადის ქვეშ ელვედა სხივად
თვალები, ცეცხლის ორი აბედი.

—მე იმერეთში წავალ... თქვენ საით?
—მეც იმერეთში, ჩემო ბატონო!
შევყევით გზაში ცბიერ მუსაიფს,
შენ. თვლემდი, ცაო უკაბადონო.

გამოგვეგება მუნჯი მასხური
ისევ ალმები... შანდლები... ქვიშნე!
სახლს გადაეცლოდა გადასახური,
და დასავლეთი შორით გვეჩინა.

გამოგვეგება ძაღლი ბებერი—
გვიცნო და უცებ შეწყვიტა ყეფა;
წვიმა... მდინარე... თვე ნოემბერი.
ვთქვით: მწუხარება ეხლა იწყება!

მოგვესმა ძველი: გეხუმრე, მურა!
ჩამავალმა მზემ მთები მიმალა.
ეზოდან ქალი გამოეშურა,
შეგვხედა, გვიცნო და მიიმალა.

არ მოგვესმოდა სახლიდან მოთქმა
მაგრამ საოცრად ტიროდა სახლი,
ეზოში სამჯერ იკვლა ჭოტმა,
ზარით აზუვლდა ბებერი ძაღლი.

მაშინ საზარლად ატირდა მუნჯი
ჩვენი ყრუ, ჩვენი მუნჯი სატანა,
თითქო სადღაცა გაქრა საუნჯე
და შელამებამ ითანდათანა.

ეხლა რაღა ვქნათ? ცეცხლთა რიდები
არ გენატრება ძლიერ ხელოვანს,
და არ გიმუქებს შორი დიდება
მყუდრო სიბერის გზას სახელოვანს.

ქარნი არ ქრიან. ფრთიანი ხეები,
გათენებულ ცას რთავენ ლავრები
და მაგონდება შენი დღეები
ჩემთა ხეტიალთ თანამგზავრები.

მე გეთხოვები... ძველად გშენია
რომ სხვ ნაირად იგრძნობენ ალებს...
ასე სიკვდილი ელის გენიოსს,
სასახლეები კი... ნაძარალებს!

გალაკტიონ ტაბიძე

„ერთობის" რედაქცია.
28 ნოემბერი.

არ მომკვდარა!

Не говорите мнѣ: онъ умеръ онъ живетъ...

დღეს დიდუბის პანთეონში უნდა დაკრძალონ გამოჩენილ ქართველ მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის ნეშთი.

ლადო მესხიშვილი! ვის არ გაუგონია მისი სახელი? ვისი გული არ აძგერებულა მისი ღვთიური ნიჭით? ქართველ საზოგადოებას დიდი ხანია ლადო მესხიშვილი სცენაზე აღარ უნახავს, მაგრამ დღესაც, როგორც ამ 20 წლის წინედ თვალწინ გვიდგია მისი შარავანდედით მოსილი სახე. აგერ აიხადა ფარდა და სცენაზე გამოდის მელანქოლიით შეპყრობილი დანიელი პრინცი—ჰამლეტი. ... „ყოფნა არ ყოფნა? საკითხავი აი ეს არის. სულ დიდ ქენილებას რა შეჰფერის? ის რომ იტანჯოს და აიტანოს მჩაგრავ ბედის ნესტრითა გმირვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და ამ შებრძოლით მოსპოს იგი... მოსპოს სიცოცხლე.. ბოლო მოუღოს მაიძინოს სხვა არაფერი"... და ისიც ებრძოდა „მოზღვავებულ უბედურებას" და გარიყული ცივ ჩრდილოეთში ხშირად იტანჯა „მჩაგრავ ბედისგან" ნესტრითა გმირვას. ეხლა კი მან უკანასკნელად იხილა თავისუფალ სამშობლოს მზის სხივები და მიიძინა სამუდამოდ... ლადო

ფრიდრიხ ენგელსი

(1820—1920).

1. მოკლე ბიოგრაფია.

დღეს, 28 ნოემბერს, **ფრიდრიხ ენგელსის** დაბადების ასი წლის თავია. მარქსი და ენგელსი—ეს ორი სახელი ძლიერ ბევრს ეუბნება ყოველს სოციალისტს, ყოველს პროლეტარს, ყოველს მშრომელს, რა ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს ის. ისინი არიან შემქმნელნი და იდეურ-ზეშთაგონებულნი მთელი დღევანდელი მსოფლიო მუშათა მოძრაობისა. ამ მოძრაობის როგორც იდეოლოგია, ისე პოლიტიკა და მთელი პრაქტიკა ამ ორი გუმბერაზისაგან ღებულობს სათავეს. მათ მიერ გამოხიერებულ იდეურს ნიადაგზე აღმოცენდა მთელი დღევანდელი სამეცნიერო სოციალიზმი. მათს გავლენას ვერსად გაქცევია მთელი დღევანდელი ბურჟუაზიული მეცნიერება და ფილოსოფია. მათ სახელს ფიცულობენ და მათ სიტყვებს იმოწმებენ თავის პროგრამის და საქმიანობის გასამართლებლათ ისინიც კი, ვინც იდეოლოგიურად მარქსიზმს ისევე არიან დაშორებულნი, როგორც ჩრდილოეთის პოლუსი სამხრეთისას. ადვილი გასაგებია, რომ ამ გუმბერაზის დაბადების დღე მუშათა კლასისთვის სადღესასწაულო დღეთ უნდა გადაიქცეს და რომ ამ დღეს ყოველმა მუშამ უნდა გაიხსენოს მათი გასაოცარი პიროვნება, მათი ცხოვრება და ღვაწლი კაცობრიობის და, ყველაზე უფრო, მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე.

ფრიდრიხ ენგელსი ქ. ბარმენში დაიბადა. იგი იყო ფაბრიკანტის შვილი. ქ. ბარმენში ენგელსის მამის ოჯახს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, იგი ითვლებოდა სამაგალითოდ არა მარტო სიმდიდრის მხრით, არამედ ძველებურ პატრიარქალურ ტრადიციებით და ღვთის მოსავობით. მამა ამზადებდა მას მოხელეთ და ამ მიზნით მიაბარა იგი რეალურ სასწავლებელში, საიდანაც ის გიმნაზიაში გადავიდა, მაგრამ ფრ. ენგელსს არ გაუთავებია გიმნაზიის კურსი: უკანასკნელ კლასიდან გამოვიდა და თითონაც მოისურვა მამის კვალს დასდგომოდა—ვაჭრობა მიეწველობისათვის მოეკიდა ხელი: რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მსახურობდა სავაჭრო ფირმაში. მალე ვაჭრობას მიანება თავი და 1841 წელს ჯარში ჩაეწერა და ბერლინში მსახურობდა არტილერისტად ერთი წლის განმავლობაში. ამ ჯარში სამსახურს უკვალოდ არ ჩაუვლია ენგელსის ცხოვრებაში: სამხედრო მეცნიერებამ იგი ძლიერ გაიტაცა; იგი ისეთის ყურადღებით დაეწაფა მას, რომ ეს მეცნიერება მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი და სიკვდილამდის თავი არ მიუნებებია მისთვის. პირველი თხზულება, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა ენგელსზე და მის განვითარებას ღრმა კვალი დაამჩნია იყო ლუდვიგ ფეიერბახის „ქრისტიანობის არსება". 1842 წელს ენგელსმა გაათავა სამხედრო სამსახური და გაემგზავრა ინგლისისაკენ ქ. მანჩესტერს, სადაც შევიდა მოსამსახურედ ფაბრიკის კანტორაში. მანჩესტერში მან დიდის ყურადღებით შეისწავლა მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, უკვირდებოდა და იკვლევდა მუშების მდგომარეობას, შრომის და კაპიტალის ურთიერთობას. ფილოსოფიის შესწავლამ და მეტადრე მსხვილი წარმოების დაკვირვებამ ენგელსი პირველად მიიყვანა იმ აზრამდის, რომელიც მის და მარქსის მოძღვრების ჩანასახად უნდა ჩაითვალოს: რომ კაცობრიობის ისტორიის სათავეში დევს ეკონომიური ურთიერთობა. 1844 წელს ენგელსი შეხვდა მარქსს პარიზში. მათი ხანგრძლივი მუსაიფიდან გამოირკვა, რომ ისინი სხვადასხვა გზით მისულან ერთ და იმავე მსოფლმხედველობამდის. ამიერიდან ჩაეყარა საძირკველი მათს უბადლო მეგობრობას, რომელიც მარქსის სიკვდილამდის (1883 წ.) გაგრძელდა.

ამ ხანებში იწყება ენგელსის მოღვაწეობა სოციალისტურ და რევოლიუციურ ასპარეზზე. მთელი თავისი ძლიერი ტემპერამენტი და კიდევ უფრო ძლიერი გონება შესწირა მან სოციალიზმის და რევოლიუციის საქმეს, რომლისათვისაც მას სიკვდილის კარამდის არ გაუნებებია თავი, ჯერ კიდევ ჯარში სამსახურის დროს ენგელსი გაეცნო უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებს. მანჩესტერში ყოფნის დროს იგი თანამშრომლობს სახელოვანი სოციალისტის რობერტ ოუენის ორგანოში და აგრეთვე ინგლისის რევოლიუციური პარტიის „ჩარტისტების" ორგანოში. 1845 წ. იგი მიდის მარქსთან ბრიუსელში და „სამართლიანთა კავშირში" ეწერება. ეს კავშირი იყო წინამორბედი „კომუნისტთა კავშირისა", რომელიც ამავე ხანებში დაარსდა. ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს პირველი პარტიათ, რომელიც სამეცნიერო სოციალიზმის ნიადაგზე იდგა. სწორეთ ამ „კავშირის" დავალებით ენგელსმა და მარქსმა ერთად დასწერეს სახელოვანი „მანიფესტი კომუნისტთა პარტიისა", რომელიც დღესაც კიდევ ითვლება თითქმის ყველა სოციალისტური პარტიების ქვაკუთხედათ. 1848 წლის რევოლიუციის დროს ენგელსი თავის ნებით შედის ჯარში და მონაწილეობას ღებულობს ბადენის ჯანყებში. რევოლიუციის ჩაქრობის, შემდეგ იგი შვეიცარიაში გაიხიზნა აქედან გადასახლდა ლონდონში, სადაც ისევ მოიყარეს თავი სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტებმა. მარქსი და ენგელსი ამიერიდან სალიტერატურო მუშაობით, აგიტაციით და პროპაგანდით ავრცელებენ მუშებში თავის მოძღვრებას. ნივთიერი სახსრისათვის ენგელსი ისევ შედის ფაბრიკაში, სადაც მისი მამა მონაწილე იყო, მაგრამ ეს მუშაობა მას ხელს არ უშლის მეცნიერების საფუძვლიანათ შესწავლაში, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს მრავალ გამოცემებში, სადაც ათავსებს წერილებს სხვადასხვა საკითხებზე. ამ პერიოდის ენგელსის ნაწერები განცვიფრებაში მოიყვანს ადამიანს, იმდენათ ენციკლოპედიური არის მისი ცოდნა. 1864 წელს ენგელსის და მარქსის თაოსნობით და ხელმძღვანელობით არსდება პირველი ინტერნაციონალი—მუშათა საერთაშორისო ასოციაცია.

1869 წელს ენგელსმა საბოლოოდ თავი მიანება ფაბრიკას და მანჩესტერიდან ლონდონში გადასახლდა. ამიერიდან იგი ხდება ინტერნაციონალის მხურვალე ხელმძღვანელი და ეს ხელმძღვანელობა გრძელდება პირველი ინტერნაციონალის დაშლამდის. მე-70 წლებში ენგელსი და მარქსი წარმოადგენდენ იმ ცენტრს, რომლისკენაც მიპყრობილი იყო ყურადღება მთელი ქვეყნის სოციალისტური მოღვაწეებისა: მათთან მარქსსა და ენგელსს გახურებული მიწერ-მოწერა ჰქონდათ და მათ ორგანოებში ისინი მხურვალედ თანამშრომლობდენ. ეს უფრო ითქმის ენგელსზე, ვიდრე მარქსზე, რომლის გონებაც ამ ხანში უმთავრესად „კაპიტალის" წერაში იყო გართული. განმაცვიფრებელია ის ენერგია და ის მრავალმხრივობა, რომელსაც იჩენს ენგელსი. იგი ყველა ქვეყნის სოციალისტების ხელმძღვანელობას ეწევა, მაგრამ ყველაზე დიდს ყურადღებას მაინც თავის სამშობლოს—გერმანიის—მუშათა მოძრაობას აქცევს, 1883 წლიდან, როდესაც მარქსი გარდაიცვალა, ენგელსი განაგრძობს თავის და თავის მეგობრის მიერ დაწყებულ საქმეს. ძნელს გარემოებებში უხდებოდა მას ხელმძღვანელობა მუშათა მოძრაობისა. მე-80 წლები ის პერიოდი იყო, როდესაც გერმანიაში ბობოქრობდა განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. მაგრამ სწორეთ ამ კანონის ულმობელი მოქმედების დროს გადადგა მუშათა კლასმა უდიდესი ნაბიჯი თავის პოლიტიკურ განვითარებაში, სწორეთ ამ დროზე მიდის სოციალ-დემოკრატიის საარაკო ზრდა. განსაკუთრებული კანონის მიზანშეუწონლობა იმდენათ აშკარა გახდა, რომ გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქნა გაეუქმებინა იგი.

გარდაიცვალა ფრ. ენგელსი ღრმა მოხუცებულობაში (75 წლისა), გარშემორტყმული მრავალი მოწაფეებით და ყველა ქვეყნების მუშათა მიერ [illegible] აღიარებული. მისი მეგობრების მოწმობით უკანასკნელ ამოსუნთქვამდის მან შეინარჩუნა ფხიზელი და ძლიერი გონება, რევოლიუციური ტემპერამენტი და ყმაწვილური გატაცება.

2. ენგელსის მნიშვნელობა.

მეცნიერული სოციალიზმი, რომელსაც ორმოცი წლის შეთანხმებული მუშაობით საძირკველი ჩაუყარეს მარქსმა და ენგელსმა, „მარქსიზმის" სახელით არის ცნობილი, ენგელსის სახელი თითქოს დაიჩრდილა მარქსის იდეიალის და გუმბერაზობის წინაშე. თვით ენგელსი ამბობს, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ის, რაც გავაკეთეთ მე და მარქსმა, უმარქსოდ ვერ გაკეთდებოდა, უჩემოდ კი გაკეთდებოდა. ენგელსის ამ სიტყვების გამო მარქსიზმის ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც არის მერინგი, აი რას ამბობს: „თვით მას (ენგელსს) არა ერთხელ განუცხადებია ხაზ-გასმით, რომ მათი (მისი და მარქსის) სიცოცხლის შრომის უდიდესი ნაწილი მის მეგობარს ეკუთვნის. ამას იგი აცხადებდა არა ცრუ-მორცხვობით, როგორც შარლატანი, რომელიც ვითომდა უგულოთ იხსენიებს თავის საკუთარ ნაშრომს იმ მიზნით, რომ სხვებისაგან მისი ქება დიდება გაიგონოს, არა, ენგელსი ამას აცხადებდა ჭეშმარიტი კდემამოსილებით, როგორც დიდი მოაზრე ბრძენი, რომელმაც კარგათ იცის თავისი ფასი და ამიტომ კმაყოფილდება მით". პლეხანოვი სავსებით არ ეთანხმება ამ შეხედულებას. მისი აზრით მარქს-ენგელსის მიერ შექმნილ სისტემაში ენგელსს იმაზე ბევრათ უფრო მეტი ეკუთვნის, ვიდრე თითონ ამბობს. ვ. ზომბარტი კი ენგელსს თითქმის მარქსზე მაღლა აყენებს და ამბობს, მეცნიერულ სოციალიზმს „ენგელს-მარქსიზმი" უნდა ეწოდოსო.

ძნელია საბოლოოთ გამორკვევა იმ ნაწილისა, რომელიც ეკუთვნის თვითეულს ამ დიად პიროვნებათაგანს. რა თქმა უნდა, რომელიმე მათგანი მარტო ვერ შექმნიდა იმას, რაც შექმნა ორივემ. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას ერთი რამ: თუ ენგელსი ამბობს, რომ მარქსმა მას „მისცა იმაზე მეტი, ვიდრე ეს სიტყვებით შეიძლება გამოიხატოს" (იხ. „კაპიტალის" 1 ტომის მე-3 გამოცემის წინასიტყვაობა), ესევე ითქმის მარქსზედაც, რომელსაც ენგელსმა მისცა ძლიერ და ძლიერ ბევრი. საკმაოა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ენგელსმა უფრო ადრე მოჰკიდა ხელი იმ მეცნიერების შესწავლას, რომელიც მარქსიზმის ქვა-კუთხედათ უნდა ჩაითვალოს: იმ დროს, როდესაც ახალგაზრდა მარქსი უფრო ფილოსოფიას და საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიას სწავლობდა, ენგელსი უმთავრესად პოლიტიკურ ეკონომიას აწვებოდა. ჯერ კიდევ 1844 წელში მან გამოაქვეყნა შესანიშნავი შრომა („ნაციონალურ ეკონომიის კრიტიკას ცდა"), რომელსაც მარქსი მეესალმა, როგორც „გენიოსურს ცდას". ამ წერილში მოკლედ ჩასახულია მარქსიზმის თითქმის ყველა მთავარი ქვაკუთხედები. კლასთა ბრძოლის თეორია, ღირებულების თეორია კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობანი, კონცენტრაციის თეორია, შემეცნება მონოპოლიის, კონკურენციის შესახებ, ურთიერთობა მიწის, კაპიტალის და შრომისა, წარმოდგენა რენტაზე, კრიზისებზე—ყველა ეს უკვე იმდენათ მწყობრ და მთლიან სისტემაშია მოყვანილი ხსენებულ ნაწარმოებში, რომ იგი დღესაც შეიძლება ჩაითვალოს კლასიკურ ნაწარმოებათ. მართალია, ბევრი რამ, რაც აქ გამოთქმულია, შემდეგს ნაწარმოებებში შესწორებულ იქნა უმთავრესად მარქსის და თვით ენგელსის მიერაც (მაგ. ღირებულების თეორია), ბევრი რამ ამ ორმა მეგობარმა გაღრმავა, განავითარა, მაგრამ ეს ნაწარმოები ეჭვს არ სტოვებს, რომ ენგელსი თავისი გზით და დამოუკიდებლათ მისულა იმ ადგილას, სადაც საკუთარი გზით მისულა მარქსიც. ამ ნაწარმოების გამო მერინგი ამბობს: „ამ პირველს თავის შრომაში ენგელსი უფრო დამთავრებულად გვევლინება, ვიდრე თვით მარქსი თავის პირველს ნაწარმოებებში".

ხსენებულს შრომას მოჰყვა ენგელსის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თხზულება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მარქსზე და რომელსაც მარქსი ოცი წლის შემდეგაც იმოწმებს თავის უდიდეს შრომაში—„კაპიტალში" („ენგელსი, ამბობს იგი ამ თხზულების 1 ტომში, ამ წიგნში ღრმად ჩასწვდა კაპიტალისტური წარმოების სულს". სტრუვეს თარგმანი გვ. 155).

ასეთი იყო ენგელსის მიერ სრულიად დამოუკიდებლივ შეტანილი ნაწილი მარქსიზმის საძირკვლის ჩაყრის საქმეში. ამის შემდეგ იწყება ამ ორი გუმბერაზის განუყრელი და კოლექტიური თანამშრომლობა, რომელიც თითქმის 40 წლიწადი გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში მარქსი და ენგელსი ხან შეერთებული ძალით მუშაობენ ერთს თხზულებაზე (მაგ. „წმინდა ოჯახი", მაქს შტირნერის კრიტიკა, „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა"), ხან შრომას ინაწილებენ: თუ თავდაპირველათ მარქსი უფრო ფილოსოფიის ეტანებოდა, ენგელსი კი—პოლიტიკურ ეკონომიას, მათი მეგობრობის მეორე ნახევარში პირიქით, მარქსი უმთავრესათ პოლიტიკურ ეკონომიას დაეწაფა, ენ-

ღრმად დამწუხრებულნი შვილები ქრისტინე, მარიხე, ივანე, რაჟდენ და პარმენი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ 26 ნოემბერს გარდაიცვალა სოფ. ჯიქთუბანში მათი საყვარელი დედა

მელანია (მენიკო) რევაზის ასული კახიანისა.

2—1

მესხიშვილი იყო მსახიობი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. იგი კი არ „თამაშობდა" სცენაზე, არამედ სცოცხლობდა, იბრძოდა და იტანჯებოდა.. მასთან ერთად სცოცხლობდა ხალხიც.. მან შეაყვარა სცენა ქართველ ხალხს და დაანახვა მას თეატრის დიდი მნიშვნელობა. თუ ოდესმე დაიწერება ქართველი ერის ხელოვნების ისტორია, ვლად ალ. მესხიშვილი დაიჭერს იქ პირველ ადგილს. მან მისცა ხალხს ის, რის მიცემაც შეეძლო—თავისი დიდი მხატვრული ნიჭი და დაიწვა მის წმინდათა-წმინდის საკურთხეველზე.

გაივლის მრავალი წელი, მაგრამ მისი ხსოვნა არ ამოიშლება ჩვენი გულიდან. „ვნებათ რაზმებში მებრძოლი" მსახიობი კვლავ ჩასწვდება ჩვენი სულის სიღრმეს და გაასპეტაკებს მას დიდი კაცობრიული ტანჯვით... **დ. ო.**

გამოსათხოვარი

ძვირფასო ლადო! დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო თავისუფალია, დღეს, როდესაც ჩვენი თეატრი ახლად იკიდებს ფეხს, დღეს, როდესაც ეგრე ძლიერ საჭიროებოდა მას შენი უნარი და გამოცდილება, მუხთალმა ბედმა მოგვტაცა შენი თავი და მოგაშორა შენს საყვარელ საქმეს.

ასეთი უსამართლობა ხვდა წილად დღეს ჩვენს თეატრს.

შენ, ლადო, კარგათ იცი, რომ მსახიობი თავის შემდეგ არაფერსა სტოვებს, მაგრამ შენ ერთი იყავი, რომელმაც დასტოვე ჩვენი თეატრისათვის ის, რაც სხვას არ დაუტოვებია. ეს არის მთელი რიგი ახალგაზრდობა, რომელიც შენგან გაკაფულ გზაზე დამდგარა და მიემართება იმ გზით, რომელიც შენ გიყვარდა და რომელსაც შენ ეთაყვანებოდი. მე კი მომეცი ნება ერთხელ კიდევ უკანასკნელათ მადლობა გადმოგიცხადო იმ ამაგისა და მზრუნველობისათვის, რომელიც შენ ჩემდამი მიგიძღვის.

ტკბილია სამშობლო მიწა და შენც ტკბილათ განისვენე მამავ და მასწავლებელო. **იუზა ზარდალიშვილი.**

ლადო მესხიშვილის ხსოვნას

მაშინ, როდესაც ქართველი ერის ცხოვრება უფერო გაუბედავი იყო, როდესაც მონობის ბორკილი სულს ეხუთავდა, სამშობლოს სიყვარული მკრთალი იყო, მაშინ საქართველოს მოევლინა ის თავშესაფერი,—თეატრი, სადაც მოთავსებულიყო ტანჯული და წამებული ქართველ სვინდისი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი ერთი იმ ადგილთაგანი იყო, სადაც ქართველს შეეძლო დამტკბარიყო თავისი წარსულის მოგონებით, მშობლიური სიტყვით და გრძნობით.

თუ დღეს ჩვენი ერი წელში გაიმართა და იმედ მოცული მტკიცედ და შეურყევლად შეუდგა წინმსვლელობას, ამაში ერთი უმთავრესი ღვაწლი ლადო მესხიშვილსაც მიუძღვის. მან შექმნა ქართული თეატრი. მისი მეოხებით დაიდგა ჩვენში შედარებით მდიდარი ნათარგმნი პიესები. მან პირველმა გააცნო ქართველ ხალხს უცხო დრამატურგნი და მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ჩვენი თეატრი.

ლადოს მეოხებით გამოჩნდნენ ჩვენში ისეთი ნიჭიერნი მსახიობნი, როგორც არიან ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ალ. იმედაშვილი და შრომის მოყვარე ი. ზარდალიშვილი და სხვ.

და თუ ყველა ეს ერის კულტურულ ცხოვრების, გამომხატველია, მადლიერი ერი ყოველთვის დიდი პატივისცემით და სიყვარულით მოიხსენიებს ლადოს სახელს.

დღეს, მიუხედავათ გართულებული პოლიტიკური პირობებისა ქართველი ერი დიდის გულისყურით და მოწიწებით გლოვობს მის დაკარგვას.

მიიღე ლადო მსახიობო და საყვარელო მასწავლებელო, უკანასკნელი სალამი და მადლობა.

შენი მოწაფეთაგან. **გ. ჯიქია.**

სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

ზესტაფონის სცენის მოყვარეთა წრე უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფას მასწავლებლის უდროოდ დაკარგვის გამო. გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. **პრეზიდიუმი.**

— —

ქუთაისი. მისი სიცოცხლით აღტაცებული ვიყავით, შევსტრფოდით მის სახელს. ჩვენს სულში აღვკვეთავთ ხელოვნების აკროპოლში დაფერფლილ დიდ ლადოს ბრწყინვალე სახელს. **ქუთაისის თეატრის თანამშრომელთა კავშირი.**

— —

ქუთაისი. გამოუთქმელი მწუხარებით ვგლოვობთ ძვირფას მხატვარს და ხელოვანს. საუკუნოები და არა წლები შობს ისეთ დიდ ლადოებს. ბევრი ცდა დასჭირდება ქართულ დრამას მაგიერის ანაზღაურებამდე.

ქუთაისის კავშირის რწმუნებული კაჭახიძე.

— —

ბათომი. ბათომის სახალხო წარმომადგენების მმართველი წრე იზიარებს ქართველი ერის მწუხარებას მშობლიური სცენის საამაყო ლადო მესხიშვილის დაკარგვით გამოწვეულს.

გამგეობის თავმჯდომარე **ჯორჯიკაშვილი.**

ახალციხე. რაბათის დრამატიული წრე თავზარდაცემულია სამშობლოს სიამაყის ლადო მესხიშვილის მოულოდნელ დაკარგვით, მუხლს ვიდრეკთ მისი ხსოვნის წინაშე.

წრის თავმჯდომარე **ზაქარია დიდმამიშვილი.**

მდივანი **ხუციშვილი.**

— —

საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭომ ნოემბრის 25-ს სხდომაზე ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულ ვლ. ალექსი მესხიშვილის ხსოვნას და დაადგინა: მოათავსოს სამგლოვიარო განცხადება გაზეთებში საბჭოს სახელით, დაესწროს დაკრძალვას საბჭოს მთელი შემადგენლობით, დამკრძალავ კომიტეტში გაიგზავნოს წარმომადგენლად ალ. ფირცხალაიშვილი, დაკრძალვის დღეს სიტყვის წარმოთქმა დაევალა ალ. წერეთელს დაევალა ბიუროს, თუ საჭირო გახდეს, მიიღოს მონაწილეობა ხარჯებში შეძლებისდაგვარად.

გელსი კი ფილოსოფიურათ ასაბუთებდა ისტორიულ მატერიალიზმს, თუმცა ამასთან ერთად ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების წერასაც უხდებოდა. მეგობრების თანამშრომლობის მეორე ნაყოფად ეკუთვნის ენგელსის „ანტიდიურინგი", რომელიც მისვე „ლ. ფეიერბახთან" ერთად მარქსიზმის საუკეთესო ფილოსოფიურ დასაბუთებათ უნდა ჩაითვალოს. თვით „კაპიტალი", ეს უდიდესი ნაწარმოები, ურომლისოდაც მარქსიზმი ვერ მოახდენდა იმ რევოლუციას, რაც მან მოახდინა სოციალისტურ მოძღვრებაში, ორივე მეგობრის კოლექტიური შრომის ნაყოფია: მარქსმა ამ თხზულების მხოლოდ პირველი ტომი მოათავა საბოლოოდ და თავის სიცოცხლეშივე მოასწრო დაბეჭდვა. მეორე და მესამე ტომები ავტორმა უმთავრესად შავი ხელთნაწერების სახით დასტოვა და მათ აღდგენაზე ენგელსმა იშრომა კიდევ ათ წელიწადზე მეტი თავის სიკვდილამდის.

მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსმა თორმეტი წელიწადი იცოცხლა და ამ ხნის განმავლობაში იგი იყო ერთად ერთი საბოლოო ავტორიტეტი და უდიდესი ხელმძღვანელი იმ საქმისა, რომელიც შექმნეს მან და მარქსმა. მრავალი წერილები, როგორც პატარა, ისე მოზრდილი, როგორც საგაზეთო, ისე საჟურნალო, მოათავსა მან ამ ხნის განმავლობაში. მრავალნაირი იყო საკითხები, რომლებსაც ცხოვრება აყენებდა იმ პარტიის წინაშე, რომელმაც თავს იდვა მარქსიზმის გზით სვლა და მისი ცხოვრებაში გატარება: პოლიტიკა, ეკონომიური საკითხები, ფილოსოფია, ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრება—ყველაფერი თხოვდა მარქსიზმის მამათმთავრის ყურადღებას. და იგი, მიუხედავათ ღრმა მოხუცებულობისა (მარქსის სიკვდილის შემდეგ იგი 63 წლისა იყო, თითონ კი გარდაიცვალა სამოცდათხუთმეტი წლისა ახალგაზრდული მხნეობით და გონებრივის სიფხიზლით უძღვებოდა ყველა საქმეებს. მის ხელმძღვანელობას უნდა მივაწეროთ მომზადება მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსების და პრაქტიკული მოღვაწეებისა, რომლებმაც სამეცნიერო სოციალიზმის მამამთავართა სიკვდილის შემდეგ მათი საქმე განაგრძეს და მიიყვანეს დღევანდელ მდგომარეობამდის.

პირად ცხოვრებაში ენგელსი მეტად სიმპატიურ პიროვნებათ გვევლინება: სპეტაკი ადამიანი, ცოტა მკაცრი ადამიანებთან მოპყრობაში, მაგრამ უფრო მკაცრი თავის თავისადმი, შეუდრეკელი პრინციპის კაცი. ენგელსი განსაკუთრებით მეგობრობაში იდგა თვალმიუწვდენელ სიმაღლეზე. ამ ცოტა არ იყოს უკმეხმა ადამიანმა იცოდა ნაზი, სათუთი მეგობრობა, რომლის ყველაზე უფრო დიდი ობიექტი, რა თქმა უნდა, მარქსი იყო. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მარქსთან ურთიერთობაში მან არ იცოდა, რაა პირადი ქონება, პირადი ნივთიერი საკუთრება: მუდამ დევნილი და მუდამ სამშობლოს გარეთ გადახვეწილი მარქსი დიდს ნივთიერს გაჭირვებას განიცდიდა და, რომ არ ყოფილიყო ენგელსი, რომელიც მას ნივთიერად ეხმარებოდა თითქმის ოცი წლის განმავლობაში, ძნელი სათქმელია, შესძლებდა, თუ არა, მარქსი გულდამშვიდებით შრომას და იმის შექმნას, რამაც ასეთი საშვილიშვილო კვალი დასტოვა ისტორიაში.

განსაცვიფრებელია ის ყოველმხრივი განათლება, რომლითაც აღჭურვილი იყო ენგელსი. გარდა პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიისა, რომლებშიაც იგი ღრმა და საფუძვლიან ცოდნას იჩენს, მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ბუნებისმეტყველებაც, ისტორიაც, ენათმეცნიერება, იურისპრუდენცია და მრავალი ამისთანა სპეციალური დარგები, რომელთანაც მას, თითქოს, არაფერი არ უნდა ჰქონებოდა საერთო, როგორც მაგ., სამხედრო საქმე. ყველა ამ დარგებში მის ცოდნას სრულებითაც არა აქვს დილეტანტური ზერელობის ხასიათი, პირიქით, ენგელსი თავის აზრს თავის დღეში არ გამოსთქვამდა ისეთ საგანზე, რომელზედაც მას არ ჰქონდა ნათელი და საფუძვლიანი წარმოდგენა. მისი განათლების სიღრმეს და მისი ერუდიციის მრავალმხრივობას აღტაცებაში მოჰყავდა თვით ისეთი ღრმა და მრავალმხრივი ერუდიციის პატრონი, როგორც იყო მარქსი, რომელიც თავის თხზულებებისათვის უხვად სარგებლობდა თავის მეგობრის ამ თვისებებით.

ლ. ნათაძე.

ახალი ამბები

ორშაბათს, 29 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის არა ჩვეულებრივი სხდომა.

◆ **ფრიდრიხ ენგელსის დღე.** დღეს დილის 11 საათზე ს. დ. მ. პ. ცენტრ. კომიტეტი სახელმწიფო თეატრში იწვევს დიდ კრებას ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით ფრ. ენგელსის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად. კრებაზე წაკითხულ იქნება ამხ. კარლ კაუცკის მოგონებები ფრ. ენგელსის შესახებ. კრება გაიხსნება **ზუსტად 11 საათზე.**

◆ **კობულეთის რაიონის ჭახატის,** ზერაბოსელის, ხინოს სოფლების საერთო ყრილობამ 23 ნოემბერს მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ი. რამიშვილისა და ბათომის ოლქის უფროსის პ. მიქაბერიძის საზოგადო მდგომარეობის შესახებ. კრებამ გამოსთქვა თავისი კმაყოფილება მოხსენებისა და რჩევა დარიგების გამო და განაცხადა გულწრფელი სინანული მათგან ჩადენილი შეცდომების გამო. აღუთქვა მთავრობას და რესპუბლიკას ერთგულება, ამასთან მოითხოვა ეპატიოს ძველი დანაშაულობისთვის დაჭერილებს და აღუთქვა რომ დღეის ამიერიდან საქართველოს საწინააღმდეგო ნაბიჯებს არასოდეს არ გადასდგამენ. ამავე დღეს იქნა არჩეული თემის კომისარი. თავმჯდომარე **მუჰად ბეჟან კაიკაციშვილი.**

◆ **მარგანეცის გატანა.** ლონდონში შესდგა „რემი"-საზღვარ გარეთის ოპერაციების ზედამხედველი და საკონტროლო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეთაც მოწვეულია ნ. ნიკოლაძე, თავმჯდომარის ამხანაგად— დიუპრე.

◆ **ერთმა მსხვილმა სავაჭრო ფირმამ** ფინ. სამინისტროს მიმართა თხოვნით, რომ მას ნება დართონ საფრანგეთში 30,000 ტონი მარგანეცის გატანისა, რომელიც გადაიცვლება რესპუბლიკისათვის საჭირო სხვადასხვა საქონელზე.

◆ **შეშის დამზადება.** ერობათა კავშირის კომიტეტმა 10 სამაზრო ერობებს შემდეგი შინაარსის წერილი დაუგზავნა: რესპუბლიკაში შეშის დამზადების საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაშია. თუ ამ მხრივ საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. ერობათა კავშირის კომიტეტი ფიქრობს, რომ საკითხი მოითხოვს ყოველმხრივ და დაწვრილებით განხილვას და ამიტომ მოითხოვს, რომ ყველა ერობამ, რაც შეიძლება სასწრაფოთ გამოგზავნოს ცნობები შემდეგ კითხვებზე: 1) რა და რა ადგილებში და რამდენი შეშა შეიძლება იქნეს დამზადებული? 2) რამდენი დაჯდება შეშის დამზადება? 3) თუ საჭიროა კერძო კაპიტალის დახმარება რა პირობებში, და სხვ. ერობათა კავშირის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ამ გზით იგი რესპუბლიკისათვის სასურველად გადაჭრის შეშის საკითხს.

◆ **ენგელსის დღე.** სახალხო უნივერსიტეტმა და ცენტრალურმა მუშათა აუდიტორიამ გადასწყვიტეს ენგელსის დღე იდღესასწაულონ კვირას, 5 დეკემბერს ნაცვლად 28 ნოემბრისა, რადგანაც 28 ნოემბერს ენგელსის დღე იმართება სახელმწიფო თეატრში და გვარდიაშიც, სადაც მიწვეულნი არიან, ნოე ჟორდანია, კ. კაუცკი და სხვა საზოგადო მოღვაწენი, მათი დასწრება კი კლუბისათვის და უნივერსიტეტისათვის მეტად სასურველია.

◆ **მილიციის ცნობები.** დატუსაღებულ იქნა პელაგია ნიკოლოზის ასული ქარინვა, რომელმაც თავისი „ხაზეინის" ს. ა. ბოლხოვის ბინიდან (ფრეილინის ქ., № 10) მოიპარა ქუდი და 10,000 მან. ფული, სულ—90,000 მ. ღირებული. დამნაშავე დანაშაულში გამოტყდა. ნივთი და ფული გადაეცა პატრონს.

— ქ. ლ. შულავერში დატუსაღეს ქურდობისათვის და თფილისში ჩამოიყვანეს: ი. ი. ლორთქიფანიძე, გ. დ. სუხაშვილი და ა. ნონიკაშვილი, რომლებიც ციხეში მოათავსეს. მათ ნივთები მოპარეს შემდეგ პირებს: ი. ა. გარბაჩუკის ბინიდან—100,000 მანეთის; ნაწილი ნივთებისა აღმოაჩინეს და გადასცეს პატრონს; თამარა ჩხეიძის ბინიდან —150,000 მან., ნივთები სრულიად აღმოაჩინეს; ტერ-გუკასოვის ბინიდან— 200,000 მან., ნივთები აღმოაჩინეს და გადასცეს პატრონს.

◆ **„ჩვენი ქალაქი".** გამოვიდა ჟურნალ „ჩვენი ქალაქი"-ს მეორე, მესამე ნომერი შემდეგი შინაარსით: ქართული განყოფილება—1) ს. ივილიანის—ქალაქის ბიუჯეტი, 2) დ. კალანდარიშვილი—ცეცხლის ქრობის საქმე ჩვენ ქალაქში, 3) ინჟ. ს. კაკაბაძე—შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში, 4) ქრონიკა რუსულ განყოფილებაში: 1) გრიგორიანის—საქართველოს ქალაქის მცხოვრებთა აღწერა, 1) ე. კოლოსოვსკი—რეალურ გადასახადების ქალაქებისათვის გადაცემა და საყოველთაო სახელმწიფო შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესება, 3) ა. პეტროვსკი—შენიშვნები სასურსათო ორგანოების შინაგანი წყობის შესახებ, და სხვა.

◆ **კონცერტი სახალხო სახლში** თფილისის ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა გუნდის გამგეობა აცხადებს, რომ კონცერტის გადადება 28 ნოემბ. მსახიობ მესხიშვილის დაკრძალვის გამო ვერ მოხერხდა, რადგან ყველა სხვა დღეები დაჭერილია სხვადასხვა წრეების მიერ. დაგვრჩა ჩვენ მხოლოდ განცხადებული დღე 28 ნოემბერი დილის 12 საათიდან. გუნდის გამგეობა.

◆ **მუშათა ხელოვნება** მეორე სახელმწიფო თეატრში 28 ნოემბერს არ შესდგება, რადგან გადადებულია სამშაბათისათვის. 28 ნოემბრის ბილეთები გამოსადეგია 30 ნოემბრისათვის.

◆ **გაზ. „სოფლის მუშა"** გამოცემა დროებით შეჩერებულ იქნა.

◆ **სადილის გადადება.** ლადო მესხიშვილის დასაფლავების გამო სადილი „კაბარე" ბაზმიში დედობის დაცვის საზოგადოების სასარგებლოთ გადადებულია მომავალ კვირას—5 დეკემბრისათვის.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** ორშაბათს, 29 ნოემბერს დაიწყებს ლექციების კითხვას მუშათა საკითხზე (პროფესიონალური მოძრაობანი და სხვ.) ამხ. სეით დევდარიანი. ლექციები წაიკითხება ისე, რომ მოსმენას შესძლებენ როგორც საისტორიო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის, ისე საბუნებისმეტყველო საგნების ჯგუფის მსმენელები. ლექციები დაიწყება საღამოს 7 საათზე.

◆ **საბურთალოს განყოფილება** სახალხო უნივერსიტეტისა, ორშაბათს, 29 ნოემბერს ლექციების კითხვას დაიწყებს აგრონომი ელიზ. კარბელაშვილი კოოპერატიულ მეურნეობაზე. ზამთრის სემესტრში კარბელაშვილი დაასრულებს ელემენტარულ თეორიულ ნაწილს და გაზაფხულზე აწარმოებს პრაქტიკულ მეცადინეობას. ლექცია დაიწყება საღამოს 7 საათზე.

„ეშმაკის მათრახი". გამოვიდა „ეშმაკის მათრახის" № 51 შემდეგი შინაარსით: ლადოს ხსოვნას—შალვა შარაშიძისა, ომის ამბები—ისტორიკოსისა, დუელი ვილსონთან—ბეტუნისა, ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან—(დასურათებული წერილი) შარჟები ქართულ დრამის რეჟისორებისა და სხვ.

კრებები.

დღეს, საღამოს 5 საათზე ც. კ. ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ორგ. ც. კ. და საკონტროლო კომისიის სასწრაფო სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 28 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქ. ახალგ. მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციის მეორე რაიონულ კოლექტივი იწვევს ორგანიზაციის წევრების საზოგადო კრებას. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ კრებას

— ორშაბათს, 29 ნოემბერს საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალების საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— სამშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რკინის გზის სამართველოში დანიშნულია სამართველოს რაიონის სოც.-დემ. მუშა-მოსამსახურეთა შეერთებული კრება. განსახილველია მეტად საყურადღებო კითხვები. ამხანაგების დასწრება აუცილებლათ საჭიროა. ამხანაგებს თან უნდა ჰქონდეთ პარტიული წიგნაკები.

ბათომი

ბათომის ოლქში დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულის გ. გიორგაძის თავმჯდომარეობით შესდგა ახლად შედგენილ საოლქო საბჭოს პირველი სხდომა.

თათბირმა მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები ოლქის საადმინისტრაციო მმართველობის მოსაწესრიგებლად, 2) გააუმჯობესონ ოლქის მცხოვრებთა მდგომარეობა საერთო დაწესებულებათა შემოღებით, 3) ეკონომიური დახმარების გაწევის მიზნით გახსნან 12 საოლქო კოოპერატიული დუქანი. ამ საქმეში დახმარებას გაუწევს მათ ბათომში მყოფი მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული და ცეკავშირი, 4) დანიშნონ სარევიზიო კომისია ბათომის ყოფილ სასურსათო კომიტეტის მოღვაწეობის გამოსარკვევათ, 5) ოლქის საადმინისტრაციო მმართველობის უკეთ მოწყობის მიზნით დასახმარებლათ მოიწვიონ: დამფ. კრების წევრი ი. რამიშვილი, გ. ანჯაფარიძე და მემედ ბეგ აბაშიძე, 6) სოფლის კომისრებსა და მილიციონერებს ხაზინა უნდა ინახავდეს, 7) წინადადება მიეცეს რაიონის კომისრებს, რომ სასწრაფოდ გამოარკვიონ მცხოვრებთა საჭიროებანი 8) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მცხოვრებთა კულტურულ განვითარების საქმეს, 9) სასამართლოს წარმოებაში დასტოვონ შარიათი და ადათი, აგრეთვე დასტოვონ სასამართლოს ძველი შემადგენლობა: ყადი და ორი წევრი. სასამართლოს თავმჯდომარეობს რაიონის კომისარი. დასასრულ საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოლქში მიემგზავრება გ. ანჯაფარიძე და ერთი თვის შემდეგ დანიშნულ ზომების ცხოვრებაში გატარებას უნდა ველოდეთ.

ორთა-ბათომისა და სარფის სოფლის საზოგადოებანი ადმინისტრატიულად უნდა შეუერთდნენ ბათომის სარაიონო უბანს. საჭიროდ აღიარეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამერხევის უბნის საადმინისტრაციო მართველობას.

საბჭოს წევრმა ისკანდერ-ბეგ ცვაძემ სურვილი გამოსთქვა, რომ მთავრობის უმაღლესი წარმომადგენლები უფრო მეტად დაუახლოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ, რაც კარგ გავლენას მოახდენს მცხოვრებლებზე და ამგვარად მცხოვრებლებსა და მთავრობას შორის მტკიცე კავშირი დამყარდება. („სლ.")

თავდაცვისათვის

ამხ. რედაქტორო! გიგზავნით ამასთანავე 10.000 მანეთს და გთხოვთ მიუმატოთ რესპუბლიკის თავდაცვის ფონდს. **გრიგოლ დიასამიძე.**

ამხ. რედაქტორო! ამასთანავე წარმოდგენილი 5.000 მან. გთხოვთ მიიღოთ როგორც შეწირულება რესპუბლიკის დაცვის ფონდისათვის.

ილიკო გრიგოლის ასული დიასამიძე. *)

სომხეთი და ოსმალეთი

ქემალისტების ნოტა ჩიჩერინს.

(ერევნიდან გადმოცემული რადიო, რომელიც მიიღო ბათომის რადიოსადგურმა).

ერივანი, 22 ნოემბერი. მოსკოვი. მინისტრ ჩიჩერინს. ერივანი, 19 სექტემბერი. გაგზავნით ნოტის ტექსტის თარგმანს, რომელიც მიღებულია ფრონტის საშუალებით თქვენზე გადმოსაცემად.

ოსმალეთის ნაციონალური დიდი ყრილობის მთავრობის კომისარი მადლობას გიხდით თქვენ ჰუმანიურ წინადადებისათვის ბოლო მოეღოს ოსმალეთ-სომხეთის ომს. ამის გამო საჭიროთ მიგვაჩნია გამოვსთქვათ შემდეგი მოსაზრებანი:

1) თქვენი პირველი წინადადება შუამავლობის შესახებ გამოთქმული 1920 წ. 3 ივნისის ტელეგრამაში ჩვენ მიერ მიღებული დიდი მადლობით 1920 წ. აღვნიშნეთ, რომ მას ვიღებთ და რომ ამის გამო შეჩერებულია ჩვენი აღმოსავლეთის არმიის საერთო შეტევა, რომელიც უკვე უნდა დაწყებულიყო, რათა ბოლო მოღებოდა სომხების მიერ თათრების აწიოკებას.

2) იმის შემდეგ დაშნაკებმა არ წარმოგვიდგინეს ჩვენ არავითარი ვადა და თქვენის მხრივ უკვე აღარ იყო აღძრული საკითხი რაიმე შუამდგომლობის შესახებ. ჩვენ აქედან დავასკვენით, რომ თქვენმა მთავრობამ იმაზე უარი სთქვა, ან-და, რომ სომხებმა უარჰყვეს თქვენი წინადადება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ მიგვიღია ამის შესახებ არავითარი ცნობა, და რასაც უნდა მიაქციოთ თქვენ ყურადღება, ეს იმას, რომ სომხებმა ისარგებლეს ამ რყევის პერიოდით და მოინდომეს განეხორციელებიათ თავისი იმპერიალიზმით გაჟღენთილი ზრახვანი. ისინი შეეცადნენ დაეპყრათ ჩვენი აღმოსავლეთის პროვინციების ნაწილი, რომლებიც, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ჩვენი სახალხო დოვლათის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

3) 24 სექტემბერს სომხები იმ ზომამდე გათამამდნენ, რომ თავს დაესხნენ ჩვენ ჯარებს იმ იმედით, რომ დაიპყრობდნენ ჩვენს აღმოსავლეთის პროვინციებს, და ჩვენც იძულებულნი ვიყავით თავი დაგვეცვა, რათა მოგვეგერიებინა მათი თავდასხმა. დავკავეთ რა 2 ნოემბერს ყარსი, ჩვენ მივეცით მათ ზავის წინადადება და 9 ნოემბერს წარვუდგინეთ ჩვენი პირობები, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით იმდენათ ზომიერი და ზედმიწევნით სამართლიანი არიან, რომ თვით ოგანჯანიანმა 10 ნოემბერს თავის ნოტაში განაცხადა თანხმობა.

4) სომხებს სურდათ სამხედრო მოქმედებათა დროებითი შეჩერება, და აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი დაეთანხმა ამაზე და განმარტა, რომ ის აკეთებს ამას იმისათვის, რათა შეაჩეროს სისხლის ღვრა ცენტრალურ მთავრობის ინსტრუქციების მიღებამდის და საზავო ხელშეკრულების დადებამდის. სომხებმა განაცხადეს, რომ ჩვენ დავარღვიეთ ხელშეკრულება იმ დროს, როდესაც ის არ იყო დადებული იმათი უარის გამო.

5) ოსმალეთი კვლავინდებურად მზათ არის ჩამოაგდოს სომხეთთან ზავი იმ საფუძვლებზე, რომლებიც გამოთქმულია ამა თვის 8—10 ნოემბრის ჩემს ნოტაში ერთად ერთი პირობით, რომ ჩამოგდებულიყო დროებითი ზავი, რადგანაც, ვიმეორებთ, ერთად ერთი ჩვენი სურვილი არის—ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა მის გეოგრაფიულ საზღვრებში და მშვიდობიანობის უზრუნველყოფა. ოსმალეთის დიდი ნაციონალური ყრილობის მთავრობამ გადასწყვიტა არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოს არავითარი დათმობა მთლიანობის და დამოუკიდებლობის საკითხში (დამახინჯებულია) და ზავის ნაციონალური პირობები იტყობინება რა რომ ჩემი მთავრობა მუდამ მზათ არის დაიწყოს საზავო მოლაპარაკება სომხეთის რესპუბლიკასთან (გამოშვებულია 4 სიტყვა უშნოს რადიო) რწმუნება ჩემ ღრმა **მუხტარ მახმუდი.**

ოსმალეთის დიდ ნაციონალურ ყრილობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი დიდის სწორით კაზიმ-კარაბექირი („სლ.")

სომეხი ტყვეები ყარსში

ქემალისტების ერთ მოხსენებაში ვკითხულობთ:

„ყარსში ტყვეთ ჩავიგდეთ 1254 კაცი ამათში სარდალი ფირუმიანი და კიდევ ორი სარდალი. ლაშქრის შტაბის მეორე თავმჯდომარე, წინანდელი სამხედრო მინისტრი, 12 პოლკოვნიკი, 16 მაიორი, და 71 პრაპორჩიკი და უნტერ-ოფიცერი. ორმა სარდალმა ტყვეთ ჩავარდნის თავის მოკვლა აჯობინა („ამხან.")

გაზ. „ახალ კომუნისტის" თანამშრომლის ბ. ბარონის საპასუხოდ.

„ახალ კომუნისტის" № 103-ში ბ-ნ ბარონი თავის გრძელ წერილში, „დიდრობა თუ ბოროტმოქმედება" ლაწერს რა დღევანდელ მუშათა მდგომარეობას და ეკონომიურ კრიზისს, აყენებს მთელს რიგს ბრალდებებისას რკინის გზის სასურსათო კომიტეტის და ცენტრალური გამგეობის წინააღმდეგ. თუ რამდენათ საფუძვლიანი არის მის მიერ წამოყენებული ბრალდებები სასურსათო კომიტეტის წინააღმდეგ, ფქვილის და შაქრის შესახებ, ან და როგორი „დაკვირვებული მოწამე" ყოფილა ის სასურსათო კომიტეტის მუშაობისა, ამას გამოარკვევს თვით სასურსათო კომიტეტის პასუხი.

ჩვენ საჭიროთ მივიჩნია მხოლოდ მცირე განმარტება იმ ბრალდებებზედ, რომლებსაც ის თავისი ციფრებით უყენებს ცენტრალურ გამგეობის წევრებს. ბრალდება ორია: საქონლის ოკლებულ ფასებში და ნისიათ წაღება. პირველის შესახებ გამგეობა გადაჭრით აცხადებს: არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ როგორც გამგეობის წევრებს **რაიმე საქონელი დაკლებულ ფასებში აეღოთ.** ერთ და იმავე საქონლის სხვადასხვა ფასებში გაყიდვას, შეიძლება ადგილი ჰქონდა სასურსათო კომიტეტის მიერ საქონლის გადაფასების გამო და ეს საქონელი გადაფასებამდე შეიძლებოდა ეყიდნა, როგორც გამგეობის წევრებს, აგრეთვე ყველა რკინისგზელს. რაც შეეხება ბ. ბარონის მიერ აღმოჩენილ კარაქს და ყველს, აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ მას ცოტა შეშლია და ტყუილ ბრალოთ მიუწერია ცენტრალური გამგეობის წევრების მიერ გაცილებით უფრო ადრე კერძო დავალებით შეძენილი კარაქი და ყველი იმ კარაქზე და ყველზე, რომელსაც სასურსათო კომიტეტი სამას მანეთად ყიდდა.

შემდეგ ბარონი ცდილობს მომაკვდინებელ ცოდვათ ჩასთვალოს გამგეობის წევრების მიერ ოთხ-ფეხი საქონლის შეძენა.

რა არის ეს—თუ არა გაჯავრებული ადამიანის ცდა ასეთ იაფ ფასიანი დემაგოგიით მასა აღელვოს და შური აღძრას იმ ორგანოზედ, რომელმაც შეიძლება ვერაფრით ასიამოვნა მას და მის ამხანაგებს. რატომ არ თქვენ, ბ. ბარონო, უძღვნეთ ცენტრალური გამგეობის წევრებს, რომ სხვა კერძო მოქალაქეებთან და რკინისგზელებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ სასურსათო კომიტეტის მიერ დანიშნულ შეჯიბრებებში და ეყიდათ ის ოთხ-ფეხი საქონელი, საქონელი, რომელიც შეძენილი იყო საკლავათ ხორცის კოოპერატივებში გასაყიდათ, რაიცა სხვადასხვა მიზეზების გამო არ მოხერხდა, და ამიტომ ეს საქონელი არა ერთხელ იყო გადაყვანილი საკლაობზე საჯაროთ გასაყიდათ!

ახლა ვალებზე.

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ბ. ბარონის ციფრები ძალზედ გადაჭარბებულია, მაგრამ ეს წვრილმანია. მთავარი კი ის არის, რომ მისი აზრით დავალიანებული გამგეობის წევრი მოკლებულია კრიტიკის უნარს. მაგრამ თვით ბატონი ბარონი ხომ ნამეტან კრიტიკის ხასიათზე არის? მას ხომ ვერავინ დასწამებს ამ დარგში უუნარობას და ეს ალბათ იმიტომ რომ მას გასესხებული აქვს ფულები?

თუმცა ბოროტი ენები ამბობენ, რომ, ბარონს, მიუხედავათ მის მიერ საგრძნობი თანხის აღებისა (ალიკვიდაციო ფულის სახით) მაინც მართებდა სასურსათო კომიტეტის რამდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ ჩვენ ამის განხილვაში არ გვინდა შევიდეთ და არც გვჭირია.

უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ბ. ბარონის წერილი ისეთი კილოთი არის დაწერილი, თითქოს არც ცენტრალური გამგეობის წევრები ფიქრობდნენ ამ ვალების გადახდას და არც სასურსათო კომიტეტი მის აღებას განიზრახავს.

მაგრამ კარგი იქნებოდა ბ. ბარონ, ამდენი შრომის დამხარჯველს ცოტა კიდევ შეეწუხებინათ თავი და ისიც გაეგოთ, რომ ცენტრალური გამგეობის წევრებმა 19 ნოემბერს სასურსათო კომიტეტისგან მიიღეს ცნობა და მოთხოვნილება ვალების გადახდის შესახებ; მხოლოდ 25 ნოემბერს თქვენი „ტატისტიკა" გამოქვეყნდა, ასე რომ ამ მხრივათაც შენიშვნა თითქოს ნოემბერში მოსულ მანუფაქტურის შემდეგ ვალები ერთი ორად გაიზარდა, თქვენი „ბრძნული წინასწარმეტყველების" ნაყოფია წინასწარ განზრახული მიზნით.

მკითხველი საზოგადოების საყურადღებოდ და ბ. ბარონის დასამშვიდებლად საჭიროთ მივაჩნია განვაცხადოთ, რომ საქონლის ნისიათ გატანას ადგილი ქონდა სხვა მოსამსახურეების ეხრივაც. თვით ცენტრალურ გამგეობის მიერ შეძენილ იქნა 1.200.000 მანეთად ღირებული სხვადასხვა თბილი საზამთრო ტანისამოსი და მისივე დადგენილებით დაურიგდა რკინისგზელების ნაწილს. (კონდუქტორებს, დარაჯებს, მემანქანეებს, რემონტის მუშებს, მემანქანის თანაშემწეებს და სხ.) ნისიათ და გამოექვითათ მათ მხოლოდ ჯამაგირიდან რამდენიმე თვის განმავლობაში.

შეიძლება ეგეც იცოდეს ბ. ბარონმა, მაგრამ აქ რომ თავისი ციფრები აემუშავებინა, ეს ხომ ვერავითარ სარგებლობას მოუტანდა მის დემაგოგიურ წერილს.

ბოლოს და ბოლოს საკითხავი არის თუ რად დასჭირდა ბარონს ცენტრალური გამგეობის წევრების ვალების გამომჟღავნება, როდესაც თვით ისინი არას დროს არ მალავდნენ თავიანთ ვალებს და საერთოდ მათ მდგომარეობას.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ბატონ ბარონს თავის წერილით სურს ორი საქმე გააკეთოს: შური იძიოს იმ ორგანოს წევრებზედ, რომლებმაც შეიძლება მას ხელი შეუშალეს იმ ადგილზედ დარჩენაში, სადაც ის, მისი განცხადებით, ორი წელია უხელფასოთ იყო, მაგრამ სადაც ჩვენის აზრით მშვენივრათ გრძნობდა თავს.

მეორე—პროვოკაციული გამოსვლებით გამარჯვებას ჩვეულ კომუნისტურ პარტიას რკინის გზელთა ყრილობაზედ დელეგატების არჩევნებში გამარჯვება ეგეგონა.

ცენტრალური გამგეობა, ღრმად დარწმუნებული, აცხადებს, რომ არც ერთ მიზნის მიღწევა ბარონისებურ განაწყენ პირებს არ ძალუძთ. რკინისგზელები ამისათვის საკმაოდ მომზადებულნი არიან.

კომუნისტების ბრძოლის შეუსაბამო და უშვერო საშუალებები მათთვის დიდი ხანია ნაცნობია.

რკინისგზელებმა თავიანთ არჩეულებისაგან თვით იციან პასუხის მოთხოვნა თავიანთი ორგანიზაციებისვე საშუალებით. ამ ახლო ხანში მოწვეული რკინისგზელთა ყრილობა საუკეთესო მსაჯული იქნება და ის გამოიტანს რა განაჩენს ცენტრალური გამგეობის ნამუშევარზედ, ბ-ნ ბარონის მიერ შურის საძიებლათ შეთხზულ წერილსაც ღირსეულად დააფასებს.

რკინის გზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა.

---

*) 15.000 მ. რედაქციამ მიიღო.

რკინის გზაზე

სად. ქარელი. მიწის ძვრისაგან ქალ. გორის დანგრევის შემდეგ, სად. ქარელი შუაგულ ქართლის ცენტრად გადაიქცა, საიდანაც აურიცხელი სურსათ სანოვაგე იგზავნება უმეტეს შემთხვევაში ქ. თფილისში. მიუხედავად ამისა, გზათა უწყებას დღემდის ამ მდგომარეობისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია და სად. ქარელი ძველ პირობებში განაგრძობს მუშაობას. სადგურს აურიცხელი გადასაგზავნი საქონელი აწყდება, საწყობი კი ამისათვის შეუფერებელია. სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს მთავარ მიზეზად იმ უწესობისა, რომელსაც აქ უკიდეგანო ადგილი აქვს. მაგრამ სად. ქარელს ნამდვილი გულშემატკივარი უფროსი რომ ჰყავდეს, ამ მდგომარეობას მიაქცევდა გზათა უწყების ყურადღებას. ქარელიდან ბარგის გადაგზავნა ნამდვილი წამებაა. ჯერ ერთი რომ ერთი-ორი დღე მაინც უნდა ნაგვით სავსე და ბინძურ სადგურზე, რომ მოგიდეს შენი რიგი, იმ შემთხვევაში, თუ არ ხარ ნაცნობი რომელიმე ადგილობრივ რკინის გზის მოსამსახურისა, იმ შემთხვევაში, თუ ნაცნობი არ მოგეპოვება დახელოვნებულ კაცისათვის მათი გაცნობა ძნელი არ არის, იქვე მეზობლად მდებარე ღვინის დუქნებში, რის შემდეგაც საქმე საჩქაროდ მოგვარდება. ხშირია ისეთი მოვლენა, რომელსაც მთელი დღე ებაწყობი იმედარები ბარგის მიღებისათვის, მაგრამ ყურადღების ღირსად არავინ გხდის, ამავე დროს კი ვინმე ახლად მოსული, ჩურჩულის შემდეგ, რომელიც საიდუმლოების წყალობით, უეცრად აბარებს ბარგის ჩაბარებას. საქმის დაჩქარება, ამ გვარ შემთხვევაში, ყველას შეუძლიან უფროს მოხელიდან მოყოლებული უბრალო მუშამდე. ყველაფერი ეს ხდება ხალხის თვალწინ, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე.

როგორც ზემოთ ვსთქვი ბარგის საწყობი სადგურს პატარა აქვს, ისე რომ მიღებული, თუ მიუღებელი საქონელი ცის ქვეშ ყრია სრულიად უპატრონოდ, ხშირად ერთი და ორი დღის განმავლობაში. სადგურის უფროსი ბ. ქელიძე იმითაც კი არ იწუხებს თავს, რომ დარაჯი დააყენოს, რადგანაც მან უნდა იცოდეს, მიღებული საქონლის პასუხის მგებელი რკინის გზაა. დასამტკიცებლად მოვიყვან მრავალ მაგალითიდან ერთს: გიორგობისთვის 17-ს მოხდა ქარელიდან თფილისში ბარგის გადაგზავნა. ნაწილი ბარგისა დილიდან საღამომდე ხელწინ შემდეგ ძლივს მიგვიღებინე, ხოლო ფქვილი მისაღებათ მეორე დღისათვის გადაიდეს.

მიღებული ბარგიდან იმავე ღამეს მატარებლით მიმავალში ჯარისკაცებმა, დაინახეს რა უპატრონოდ მიყრილი ხილის ყუთები, მოიტაცეს ჩემი ერთი 3 ფუთიანი ხილის ყუთი და იქვე შესჭამეს. საქმე იმით გათავდა რომ ოქმი შეადგინეს.

გვეგონა ამ შემთხვევის შემდეგ სადგურის უფროსი თავის მოვალეობას იგრძნობდა და უპატრონოდ მიყრილ საქონელს ყარაულს მიუყენებდა, მაგრამ ამის მაგიერ მან სახლისაკენ მიაშურა მოსასვენებლად, აურიცხელი ფქვილი და ხორბლეულობა კი უპატრონოდ დასტოვა ყარში.

თურმე სადგურის უფროსი და მისი მეზობლები—მედუქნეები, ჟურნალ ლოთებს ასუქებენ. იმ ღამეს ამ ღორებმა ათამდის ტომარა გამოფაშვეს. დამნახველთ გულს უხარავდა გათენებისას, დაპნეულ ხორბლეულობის მზერა.

იმ ღამეს დაზარალდნენ: ივ. კანდელაკი, იოს. კრიხელი, ის. მამისთვალოვი, პაპის იმედოვი და ქ. კაპანაძე. ზარალი რამდენიმე ათას მანეთს აღემატებოდა. რაც ღამე ღორებმა დააკლეს, ის დღე ქათმებმა და ინდოურებმა შეასრულეს.

ამ გვარი სურათი ქარელში ყოველ ღამე მეორდება თურმე. რკინის გზის უწყება კარგს ინებებდა, თუ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ქარელის სადგურზე გამეფებულ უწესობას; ალბათ გათამამებული მოხელეები ეტყობათ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ, თორემ როგორ შეიძლება ისეთი შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ სად. ქარელში?

ყურადღების ღირსია მუშების („ნასილშჩიკების") თავ აშვებულება, რომლებიც ბარგის გადამგზავნელთ პირდაპირ ტყავს აძრობენ.

ქრ. კაპანაძე.

კულტურული მუშაობა ჯარში

სამხ სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის მიერ მოწყობილ იქნა საარმიო არტილერიის დივიზიონის მე-3 ბატარეის შენობაში საღამო. წარმოდგენილი იქნა პიესები: 1) „რევოლუციის პირველი დღეები" და „დედა და შვილი". წარმოდგენა მშვენივრად ჩატარდა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა „დედა და შვილმა", რომლის შინაარსი სწორედ დროს შეეფერება.

წარმოდგენის შემდეგ მგრძნობიარე მასაზე ალმებული სიტყვა წარმოსთქვა კულტ. განმ. სექციის წევრმა, მასწავლებელმა ისმაილ ხევსურიანმა უკანასკნელმა ახსნა თეატრის მნიშვნელობა...

კულტ. განმანათლებელი სექცია ამზადებს ამავე ბატარეიაში დასადგმელად მეორე პიესას „და-ძმა"-ს, რომელიც წარმოდგენილი იქნება 30 ნოემბერს.

სასურველია ასეთი კულტურული საღამოები ხშირად იმართებოდეს.

აკ. ცაგარელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 23 ნოემბერს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის სოციალ-დემოკრატ მუშების კრება ვაშაკიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) შეშის ფულების გამორიცხვა, 2) ყრილობის მოწვევა, 3) ზედმეტი საათების ნამუშევრის თავის დროზედ მიუღებლობის შესახებ 4) დარაჯებისაგან უკანონოთ ფულის გამორიცხვა 5) პასუხისმგებელი კორესპოდენტის არჩევა. შეშის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში დღევანდელ უმწეო მდგომარეობას თფილისის საქონლის სადგურის, მუშების და მოსამსახურეებისას, რომლებიც უშეშობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან, დღითი დღე ხდებიან ეპიდემიის მსხვერპლი და ჩქარი ნაბიჯით მიდიან ეკონომიური და ზნეობრივი დაქვეითებისაკენ.

პარტიული კრება ავალებს თფილისის საქონლის სადგურის პარტიულსა და კავშირის გამგეობებს იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ რკინის გზის ადმინისტრაციის მიერ შეშის სასყიდლათ დარიგებული ფული არამც და არამც არ იქნეს გამორიცხული ჯამაგირიდან პირველ ინვერიდის, ხოლო მაშინაც თითოეულ მოქალაქეს გამოექვითოს შეძლებისადა გვარათ.

საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ყრილობის მოწვევის შესახებ პარტიულმა კრებამ დაადგინა არავითარ შემთხვევაში ყრილობის მოწვევა არ იქნას გადადებული სხვა დროისათვის. ყრილობა იქნეს მოწვეული ჩვეულებრივ წლის თავზე რაიონულ პროფესიონალური კავშირების საშუალებით. ზედმეტი საათების ნამუშევარი ფულების თავის დროზე აუღებლობის შესახებ პარტიულმა კრებამ იქონია მსჯელობა და დაადგინა მიენდოს გამგეობას, რომ ზედმეტი საათების ნამუშევარი ფული დარიგებულ იქნას თვის ბოლო რიცხვებში ჯამაგირებთან ერთად. თუ ამას არ მოიყვანს რკინის გზის ადმინისტრაცია სისრულეში, იმ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით მივმართოთ სხვა ზომებს. კრებამ მოისმინა დარაჯების განცხადება დაკარგული საქონლის ღირებულების ჯამაგირებიდან გამორიცხვის შესახებ და დაადგინა გამგეობამ იშუამდგომლოს, რომ ეს ფულები ჯამაგირებიდან არ იქნეს გამოქვითებული, სანამ საქმე სასტიკათ არ გამოირკვევა. პასუხისმგებელი კორესპონდენტათ პარტიულმა კრებამ აირჩია ამხ. ს. ჩიგოგიძე. სარედაქციო კოლეგიაში კი ვარდენ დოლიძე. პარტიული კრება ადგენს: არც ერთი წერილი მუშების პარტიულ ცხოვრებიდან არ იქნეს გამოქვეყნებული ადგილობრივი პარტიის პრეზიდიუმის შეუმოწმებლათ.

ქრისტესიშვილი,

ხ. ხიდისთავი (გურია). 18 ნოემბერს შესდგა ხიდისთავის რაიონის ს. დ. კოლექტივის კრება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სისტემატიური წვიმების გამო იაჩეიკას კრებები არ იმართებოდა. კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა იაჩეიკების წარმომადგენლებს საწრაფოთ მოახდინონ კრებები და აღადგინონ პარტიული მუშაობა. კოლექტივის რეორგანიზაციას კრება პრინციპიალურად ღებულობს, ხოლო პარტიული კრების მოწვევის დრო გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის.

საწევრო გადასახადის შესახებ კრება ადგენს: ვინაიდან ზოგიერთ იაჩეიკებს სექტემბრის და ოქტომბრის გადასახადები შემოუტანელი აქვთ, წინადადება მიეცეს მათ გაასწორონ ანგარიშები კოლექტივის მომავალ კრებამდე.

კალ. ჟღენტი აცხადებს, რომ ის გააკეთებს მოხსენებას პარტიულ ეკონომიურ თათბირის შესახებ, თუ კოლექტივი მოიწვევს მასიურ კრებას.

კოლექტივი სიამით იღებს ამ განცხადებას და მოიწვევს კრებას თემის გამგეობის საშუალებით.

ლეონტი კვანტირაძის შესახებ დიდი ხნის კამათის შემდეგ კოლექტივი ადგენს: რადგანაც მან თავის მოვალეობის ასრულების დროს (როცა ის ითვლებოდა თემის თავმჯდომარეთ) ვერ გამოიჩინა დამდებითი მუშაობის უნარი, ამიტომ მას არ ეძლევა უფლება არჩეულ იქნეს ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე.

21 ნოემბერს კოლექტივის დადგენილებით გადახდილ იქნა წლის თავზე სამოქალაქო პანაშვიდი ბოლშევიკების მიერ ვერაგულათ მოკლულ ამხანაგის იოსებ თავზერიძის საფლავზე. კოლექტივის და თემის გამგეობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ს. კალანდაძემ.

რადიკალი.

პროვინცია

ს. პატარძეული. (გარე კახეთი). 21 ნოემბერს შესდგა პატარძეულის თემის ხმოსანთა ყრილობა გამგეობის წევრების ასარჩევად: პატარძეული დღემდე შედიოდა იორის თემში, რომელიც მოწყობილი იყო ს. სართიჭალაში და თითქმის არავითარი სარგებლობა პატარძეულის საზოგადოებისთვის არ მოქონდა, რადგანაც სართიჭალასა და პატარძეულ შუა მდ. იორი ჩამოდის და უხიდობის გამო ხშირად მოუხერხებელი ხდება მიმოსვლა. იორის თემის საწყობიც სართიჭალაში იყო გახსნილი და პატარძეულის საზოგადოებას იქიდამ სულაც არა გამოჰქონდა რა ისე, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „ხბო ვის კარზედაც დაიბლავლებს, იმისიაო".

ამ ბოლო დროს თფ. მაზრის ერობის განკარგულებით პატარძეულის საზოგადოება, რომელიც შესდგება 1200 კომლისაგან, გამოეყო ცალკე თემად. ხმოსანთა არჩევნები მოხდა 7 ნოემბერს, მხოლოდ ხმოსანთა ყრილობა გამგეობის ასარჩევად—21 ნოემბერს, რომელსაც თფილისის მაზრის ერობიდან დაესწრო გამგეობის წევრი გ. ჯილაური, თფილისის გარე უბნის თემის თავმჯდომარე შ. კილასონია და ვლ. კაკაბაძე. ყრილობას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სკოლის გამგე პარკაძე. ფარული კენჭის ყრით გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ადგილობრივი მცხოვრებნი: 1) მიხეილ ჯილაური, 2) შაქრო ყუშიტაშვილი და 3) იაგორა მურადოვი.

პირველ ორ წევრს ყრილობამ დაუნიშნა ჯამაგირად თვეში 10,000 მ. თითოს, მესამეს მარტო დღიური 500 მან. როცა იგი დაესწრება გამგეობის სხდომას.

ახალ გამგეობას ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი პატარძეულში. გარდა მთავრობის ბრძანებების ცხოვრებაში გატარებისა და სხვა მიწერ მოწერის შესრულებისა,—საჭიროა ბევრი მუშაობა სოფლის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

პატარძეული პურისა და ღვინის ადგილია, მიუხედავად იმისა, რომ აქ უმთავრესად ურწყავი მამულებია, მაგრამ თვით ნიადაგი ძლიერ ნოყიერია და თუ ამინდიც ხელს შეუწყობს,—მოსავალი უხვი მოდის.

მიმდინარე წელს მოსავალი სულ თაგვმა შეჭამა. ხალხი დარჩა მარტო სიმინდის ამარად, რომელმაც შესანიშნავი მოსავალი მოგვცა. ეხლავე უნდა პატრონობა სოფელს, თორემ რაც ამ შემოდგომაზე დასთესეს,—ამასაც ისევ თაგვები შესჭამენ და სოფელი შიმშილის მსხვერპლი გახდება.

სოფელს აქვს თავისი კოოპერატივი, მაგრამ უპატრონობით ისიც სულს ღაფავს. არც საქონელი აქვს, არც ფული და არც არავითარ ოპერაციებს არ აწარმოებს. ვინც სათავეში უდგანან,—ისინი თავ-თავისთვის ვაჭრობენ, აღებ-მიცემობას ეწევიან; კოოპერატივი კი [illegible] ხალხი სდუმს და შესცქერის: ჰა, როდის იქნება, ერთი ბოჭკა ნავთი საიდანმე მოიტანონ, რომ თითო გირვანქა როგორმე მაინც წაიღონ. ამასაც რო დაარიგებენ, მერე თვეობით სხვიდან უნავთოდ. ამიტომაც მთელი სოფელი ჩარჩებისა და სპეკულიანტების ბუდეთ გადიქცა: თუ თემმა ხელი არ მოჰკიდა და არ უპატრონა,—ეს კოოპერატივი საიქიოს მალე გაემგზავრება და თან მიჰყვება პატარძეულის ბანკიც, რომელიც ოპერაციებს აღარ აწარმოებს ფულის უქონლობის გამო და მის კასაში თაგვები [illegible]. პატარძეულის ახალმა თემმა უნდა გაუწიოს პატრონობა კოოპერატივსაც და ბანკსაც, თორემ სპეკულიანტებისა და ჩარჩ-ბაცაცების მოქმედება შემდეგში უფრო გაიდგამს ფესვებს.

ადგილობრივ მცხოვრებთაგან ბევრი ფეხზე მოვაჭრე აჩვევია სოფელს, რომლებსაც ცალი ფეხი ველაზარში უდგიათ, მეორე, პატარძეულში. ყოველ ღამე ურემი ურემზე მოდის ტფილისისკენ დატვირთული ყოველგვარი სანოვაგით: პურით, სიმინდით, კარტოფილით და სხ. აქ ჩამოსული მუჟიკი ვერას იყიდის და იძულებული ხდება ან გაეცალოს აქაურობას, ან შიმშილით მოიკლას თავი. ამიტომაც არის, რომ მოსული ინტელიგენცია სოფლად სამსახურში ვეღარ ჩერდება და გაურბის, რადგანაც წვრილ-წვრილად ვერას ყიდულობენ, ბითუმად კი მათ ყიდვა არ შეუძლიათ ჯამაგირების სიმცირის გამო.

ამას წინად პატარძეულმა მიიღო თფილისის მაზრის ერობიდან 600 ფ. პური სათესლეთ. ერობამ ფული ნაღდათ მოითხოვა სოფელში ამოტანის უმალვე: პური სულ ნაღდზე გაყიდეს ვალის გასასტუმრებლად ფუთი 2000 მან. ცოტა ნაკლებათ. ამ გვარად ღარიბებს ვერც სათესლე ჰქონდა და არც ფული მის შესაძენად,—ისევ უპუროთ დარჩნენ; მათ შორის მასწავლებელიც, რომელმაც ჯამაგირის მიღებამდე სათესლე ნისიათ ითხოვა და არ მისცეს. პურის უმეტესი ნაწილი სპეკულიანტებს ჩაუვარდათ ხელში, რომლებმაც ველაზარში ერთი სამად გაყიდეს.

ასეთი ბრმა და ყრუმაა სოფლად და ყურის მგდებელი არავინ არის. ახალი თემის გამგეობის წევრები ამ გარემოებას იმედია მიაქცევენ ყურადღებას. პატარძეული როგორც ზემოთ ვთქვით დიდი მოსავლის ადგილია. მთელი სოფელი ვენახებში იყო ჩამალული და ღვინოც საუკეთესო მოდიოდა. ეხლა ფილოქსერა ისე მოედო, რომ ხალხმა სულ გაკაფა ვენახები და ღვინის მაგიერ კარტოფილს დაუწყეს თესვა. სოფელს აქ ესაჭიროება დიდი პატრონობა ამერიკულ ვაზზე ნამყენების შეძენაში, რომელსაც თემი ადვილად მოახერხებს მაზრის აგრონომის დახმარებით.

ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს პატარძეულის თემის გამგეობამ და მდგომარეობა შეუმსუბუქოს ხალხს რომელსაც ისევ შეძლებული გლეხები და სპეკულიანტები დასტრიალებენ თავს. ამ ხალხისთვის ჯერ კიდევ არ გათენებულა როგორც ამას ხშირათ მოსთქვამენ ხოლმე. საჭიროა ხალხმა თვით ჩაუდგეს სათავეში თავის საქმეებს.

მიქელაძე.

ქ. დუშეთი. ბევრს არ შევჩერდებით იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ თეატრს პროვინციაში.

დუშეთის მაზრაში, გარდა თვით ქ. დუშეთისა არის კიდევ პატარ-პატარა სცენები შემდეგ ადგილებში: წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელში, რომელიც ძალიან უყოლობის გამო სრულიად უმოქმედოთ არის; მლეთაში, რომელიც ძალიან ღარიბია და თითქმის სრულიად არ მოეპოვება რა; ყაზბეგში, რომლის სცენაც 1918 წლის ამბოხების შემდეგ თითქმის სრულიად აღარ არსებობს, ე. ი. სცენიდან წაღებულია ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა.

ქ. დუშეთის სცენასაც ასეთივე ბედი ეწია 1918 წელს: აქედანაც მოიპარეს ყველა მნიშვნელოვანი ნივთები.

მაგრამ ამით იმედი მომავლისა ჩვენში არ ჩამქრალა. არ მიგვეპოვებოდა დარბაზი სცენისათვის, არ მოგვეპოვებოდა სცენა, არ გვქონდა არაფერი; მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებისა,—ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრე მაინც დიდ უნარს იჩენდა მუშაობაში. იგი მართავდა წარმოდგენებს ხან უფანჯრო გაყინულ ყაზარმაში და ხან ქალაქის საკრებულოში.

საკრებულო ამასთანავე გამოუსადეგარიც იყო თეატრისათვის, ვინაიდან იგი იტევდა ძალიან მცირე საზოგადოებას.

ადგილობრივმა სახ. გვარდიის საოლქო შტაბმა სახ. გვარდიისავე კულტურა-განათლების სექციასთან ერთად თავს იდო მოეწყო თეატრისათვის დარბაზი და სცენა. ამ მიზნით გადადებულ იქნა საჭირო თანხა და სექციამ მიაღწია კიდეც დანიშნულ მიზანს. გამშვენიერებულ იქნა ყოფილი სამხედრო კლუბი, გაფართოვდა დარბაზი და სცენაც და სხვა. მას დღეს ეწოდება „გვარდიის სახლი". ჩვენც შევუდექით მუშაობას.

სეზონი 30 ოქტომბერს გავხსენით; გარდა ჩვეულებრივ ფასიან წარმოდგენებისა, იმართებოდა აგრეთვე უფასო წარმოდგენებიც გვარდიელებისა და ჯარის კაცებისათვის... მაგრამ ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო და ჩვენც ასე დაგვემართა: ერთს დღეს ცეცხლი გაუჩნდა ჩვენს რეკვიზიტის შკაფს...

დაგვეწვა წვითა და დაგვით შეძენილი საგნები, დაიწვა აგრეთვე კერძო პირებისაგან ნათხოვი ფარდები და ტანისამოსი. ზარალი 600.000 მანეთს აღემატება.

მაგრამ ჩვენ გულს მაინც არ ვიტეხთ, ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას. და იმედი გვაქვს საზოგადოების ლმობიერების. ჩვენ ვიცით, რომ არავინ დაიშურებს თავის პატარა წვლილს დუშეთის თეატრის სასარგებლოთ. ყველაზე მეტი სიუხვე დუშეთის მოქალაქეებმა უნდა გამოიჩინონ.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი გულის სიღრმიდან ამონაკვნესი ხმა ჰპოვებს გამოძახილს გულშემატკივართა შორის და არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს გაჭირვებას მალამოს დასდებს თვით საზოგადოება.

დუშეთის გვარდიის შტაბი, მაზრის უმაღლესი მმართველი ორგანო—ერობა, ქალაქის თვითმმართველობა, ინტელიგენცია, გვწამს, დღეს არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ დიდი საქმისათვის. ამ გზით ჩვენ შევძლებთ შეერთებული ძალებით თეატრის სათანადოთ მოწყობას. ჩვენ ველით გამოძახილს საზოგადოებიდან.

სახ. გვ. დუშეთის საოლქო შტაბის **კულტურულ განათლების სექცია.**

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: 16 ივლისს დ. ცხინვალში ხაშურის სახალხო გვარდიამ გაგზავნა რაზმი ოსთა გამოსვლების განზრახვის ჩასაქრობლათ; რაზმმა დაჰყო იქ მთელი 2 თვე ნახევარი. ექსპედიციის დაბრუნების დროს ვიღაც ნაძირალებმა ისარგებლეს რაზმის დაბრუნებით და ადგილობრივ მილიციელს წაართვეს ცხენი, თითქოს ის გვარდიისთვის ყოფილიყოს საჭირო. მილიციის უფროსმა ბ-მა ყანჩელმა საქმის სრულიათ წინასწარ გამოურკვევლათ დამაბრალა მე და ერთი თვის შემდეგ დღიდან რაზმის დაბრუნებისა ბ-ნ ყანჩელისაგან მოდის დეპეშა ხაშურის შტაბის სახელზე, რათა დაეპატიმრებინა მე ცხენთან ერთად. ვინაიდან ცხენის გატაცებაში არამც თუ მონაწილეობა არ მიმიღია, არამედ არც კი ვიცოდი როგორ მოხდა ეს ამბავი, ამიტომ, სიმართლის აღსადგენად, ბ-ნ ყანჩელს ვიწვევ სამედიატორო სამართალში. ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ: შაქრო სებისკვერაძეს და ავქსენტი გაბადაძეს. წინადადებას ვაძლევ ბ-ნ ყანჩელს დაასახელოს ერთი კვირის განმავლობაში თავისი მედიატორები, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთი მექნება ვუწოდო შესაფერი სახელი ბ-ნ ყანჩელს ასეთ უდიერ საქციელისათვის. განაჩენი უნდა გამოცხადდეს გაზეთებში და მტყუანმა მხარემ გადაიხადოს სახალხო გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციის საშველებლათ გასამძლიერებლათ 3000 მანეთი.

ხაშურის სახალხო გვარდიელი **დათიკო ხაჯვარელიძე.**

რედაქტორი ჯგუფის წამართ.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ ი
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

დაიკარგა

25 ნოემბერს ქალის ფეხსაცმელი ცალი ფეხის. ფერათ ყვითელი. მნახველს ვთხოვ მიტანოს შემდეგი მისამართით: ნეკრასოვის ქ № 5, ეფემია ბატიევს. მნახველი მიიღებს საჩუქარს.
(3697 2—2)

ყოფილი 4 გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის
მასწავლებელი **ი. მაჩაიძე**
ამზადებს ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებელში, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. 25 („პოდიეზდი" ალექსის ქ კუთხიდან) ნახვა 9—12 ს. 2—4 ს.
(3789—4—3)

ქ. ბ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(23—დეკ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

ექიმი
შ. ა. შაშრაძე
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—[illegible] კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქ. № 32. (21 დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—დეკ

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმები
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკიმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ენდოსკოპია (საშარდის მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვის და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ. სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ს ა ხ ლ ი
მამული, აგარაკი,
იყიდოთ ან გაყიდოთ
აქვს დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, გოლოვინის პროსპექტის ახლო
თბილისი. „ინტელიგენტთა ჯგუფი".
(3807 1—1)

საქართვ. რკინის გზათა სამმართველო

7 დეკემბერს 1920 წ. 12 საათზე დღისით მოუწოდებს შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები, და საპარიკმახეროები შემდეგ სადგურებზე:

ფოთში, შორაპანში, ჭიათურაში, რიონში, სანაინში და ქუთაისში
ცხელი საჭმელების ბუფეტები და სავაჭრო ფარდულები.
მცხეთაში, ავჭალაში, ნავთლუღში, სანდარაში, შულავერში, ნაქვში სადახლოში და მოლითში
ბუფეტები ცივი საჭმელებით და სავაჭრო ფარდულები.
ხეთაში, ნავთსად. ფოთში, ქობულეთში, ნატანებში, სუფსაში, აბაშაში, ტყიბულში, და ზესტაფონში
ცივი საჭმელების ბუფეტები.
ჯუმათში, საჯევახოში, ქსანში, სურამში, და რახაგოულში—სავაჭრო ფარდულები
ჭიათურაში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ფოთში და საჩხერეში—საპარიკმახეროები.

განცხადებანი უნდა შემოტანილი იქმნეს პირადათ ან და გამოგზავნილ ფოსტით. განცხადებას უნდა თან ახლდეს საქვითარო ბარათი საწინდრის ფულის შემდეგი რაოდენობისა: 30.000 მან. ცხელი საჭმელების ბუფეტებზედ, 15000 მანეთი—ცივი საჭმელების ბუფეტებზე და 10.000 სავაჭრო ფარდულებზედ და საპარიკმახეროებზე საწინდროს ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში იმ შემთხვევებში თუ წინადადება შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღებ ამა თუ იმ პიროვნებას უარყოფილი იქნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან.

დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის ნაწილი 10 ს 2 საათ. დღისით. რკინის გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები, სავაჭრო ფარდულები და საპარიკმახეროები თავის შეხედულებისამებრ, ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც.

(ნ. 3—3)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4